№ 2681
პარასკევი,
26 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2681
პარასკევი,
26 ნოემბერი

101

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ქ. ქუთაისში კვირას, 28 ნოემბერს, გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი პეტრე-პავლეს ეკკლესიაში
თავ. მერაბ გიორგის ძის ლორთქიფანიძის
სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე და შვილები. (2—ნ.—1)

პროვიზორი არხიპ დავითის ძე მხეიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარლისა მეუღლისა
ვერა ლოუარსაბის ასულის მხეიძისას
მიცვალებულის დაკრძალვა დანიშნულია 27 ნოემბერს სოფ. თერჯოლაში. (1—ქ.—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
პარასკევს, 26 ნოემბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ნერონი", ოპერა 4 მოქმ. რუბინშტეინისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ვიკშემსკაია, დმიტრიევა-პოკასოვსკი, ორელი, ზასლავსკაია; ბ-ნნი: დონსკოი, პოლოუიანოვი, გალეცკი, სპერანსკი, ჩალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
27 ნოემბ. „ბორის გოდუნოვი". გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ხ. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბაღარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მოდინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძიონტი.—ქირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. წ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მმ. ქალი მ. ა. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ბილინი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მრ. მ. ხოზოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
ა. მ. ხოზოლიშვილი.—ქირურგია და ორტოპედია ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ-დღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში შერჩეულები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს [illegible] მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, [illegible] ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზის (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
[illegible] ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 792.

ექიმი
ი. ე. ზამბურბერი
რიბოპიერის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—16)

ექიმი
ა. ნ. თეთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—14)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანის ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—34)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით დაავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—15)

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ვ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—26.

გაზეთ „ივერიის" რედაქცია გადავიდა უფრო მოხერხებულს ადგილას, ბარონის ქუჩაზედ, კ. ალექსი-მესხიშვილის სახლში, კალოუბნის ეკკლესიის გვერდით, ქალთა 1-ლ გიმნაზიის პირდაპირ, ფოსტის მახლობლად. (2—389—2)

დაკლებულის ფასით
ვიღებთ შესაკერავად კაბებსა და თეთრეულს, ვიყვანთ აგრეთვე ჭრა-კერვისა და მშვენიერ ხელ-საქმის შესწავლის მსურველთ.
ალექსეევის ქუჩა, № 17 სახლი მანდენოვისა.
(2—1) დანი კაზანაშენი

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

პეტერბურგი 25 ნოემბერი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
24 ნოემბერი

ყაზანი, 24 ნოემბერი. ყაზანის სიფხიზლის საზოგადოებამ დაადგინა, დროებით უფასოდ დაუთმოს სადგომი შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ სათადარიგო ჯარისკაცებს. სადგომი ორას კაცისათვისაა.

ტოკიო, 24 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონიის საზღვაო არტილერიის უფროსი დეპეშით იუწყება: „გუშინ ვიდექ 203 მეტრიან გორაკზე და თვალ-ყურს ვადევნებდი. დღეს აველ გორაკზე შუშიანთან. მინდოდა გამომერკვია, რა შედეგი მოჰყვა გუშინდელ ჩვენ ზარბაზნების სროლას. 19 ნოემბრიდან დაწყებული ჩვენ ყოველ დღე ყუმბარებს ვუშენთ რუსის ფლოტს, რომელიც ბეიშანის სამხრეთითაა. იქიდან, სადაც მე ვიდექი, მოსჩანდა მხოლოდ მაღალი ანძები და საკვამლე მილები „პობედა"-სი, „რეტვიზან"-ისა" და „პალლადა"-სი. ისე კარგად ვერა სჩანდა, რომ დაგვეთვალა გემების რაოდენობა. ყუმბარები ჩვენის საზღვაო ბატარეებისა, რომლებიც გემებზე იყო, ჰხვდებოდა რუსის ფლოტს. იმ ადგილას, სადაც რუსის ფლოტი იდგა, ხშირად აფეთქდებოდა ხოლმე. რუსის გემები გორაკს არიან მოფარებულნი, ამიტომ დანამდვილებით ვერ გამოვარკვიეთ, რომელი გემი დაზარალდა და რომელი არა. გუშინდელ სროლის შედეგმა აღფრთოვანა იაპონიის ჯარი და იმისი ძალა გააორკეცა".

პარიჟი, 24 ნოემბერი („რეიტერი"). ჯიბუტიდან მოვიდა იახტა „კატარინა" სურსათით, ყინულითა და წყლით. ხვალ იახტა ჯიბუტში დაბრუნდება. იგი უარსა ჰყოფს იმ ამბავს, ვითომ რუსებს კუნძულიდან ნახშირი წაეღოთ, და ამბობს, რუსის ყველა გემმა ნახშირი გადაიტანა ჯიბუტში ნახშირის სახიდ საკუთარ გემებიდანაო. სურსათი ნაპირიდან მიუღიათ.

ლონდონი, („რეიტერი"). „ტაიმს"-ში ცნობებია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რამდენი ქვა-ნახშირი ჩააბარეს რუსეთს. აგვისტოდან ინგლისიდან 10 გემი გასულა 60 ათას ტონა ქვა-ნახშირით, სექტემბერში 12 გემი 50 ათას ტონა ქვა-ნახშირით, ოქტომბერში—16 გემი 80 ათას ტონით, ნოემბერში—8 გემი 30 ათას ტონით, აგვისტოსა და სექტემბერში ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოებისაგან დაქირავებული გემები გავიდნენ და ბალტიის ესკადრას შეუერთდნენ, ამავე დროს ინგლისელთა გემებიც გავიდნენ და რუსების მიერ ნაყიდი ნახშირი წაიღეს. გემები ვითომ მანილაში მიდიოდნენ და ნამდვილად-კი ზოგი მათგანი მშვიდობიანად მივიდნენ ვლადივოსტოკს. ამ გემებში მხოლოდ ერთი ურევია გერმანელების გემი და ორი გემი, რომლებსაც უკანასკნელ ორის კვირის განმავლობაში ჰტვირთავდნენ, ვითომ ბატავიაში მიდის. უკანასკნელ დღეებში რუსებმა კიდევ დაიკავეთეს ქვა-ნახშირი; ესეც რომ ჩააბარონ, რუსის ფლოტს მარტამდე ეყოფა ქვა-ნახშირი. ამას გარდა გერმანელმა ვაჭრებმაც დაიკავეთეს ქვა-ნახშირი სამხრეთ-ვალლის მადაროებში.

მუკდენი, 24 ნოემბერი („რეიტერი"). გუშინ პუტილოვის გორასთანა და რკინის გზასთან გაძლიერებული ზარბაზნის სროლა იყო; სროლა ნაშუადღევის სამსა და ხუთს საათს შუა მეტის-მეტად გამწვავდა. აქამდე არას დროს არ გაგვიგონია ასეთი საშინელი სროლა პორტ-არტურის გარდა. ეს იმით აიხსნება, რომ მუდამ ახალი საალყე ზარბაზნები მოსდის ჯარსა; გუშინ, მგონია, ყველა საალყე ზარბაზანი ისროდა. ორი კვირაა, რაც ხმა დადის, იაპონელები იერიშით წამოსვლას აპირობენო. გუშინ ყველამ იფიქრა, ასეთი ზარბაზნის სროლა იმას მოასწავებს, რომ იაპონელები მალე აპირობენ იერიშის მოტანასაო. პირველი თოვლი მოვიდა.

ტანჟერი, 24 ნოემბერი („რეიტერი"). „დნეპრი", „ოკეანი" და ორი კონტრ-ნაღმიანი გემი აღმოსავლეთს წავიდნენ. აქ რუსის გემი აღარ დარჩა.

მალაგა, 24 ნოემბერი („რეიტერი"). კრეისერი „იზუმრუდ"-ი მოვიდა აქ.

ტოკიო, 24 ნოემბერი („რეიტერი"). იაპონელებმა საშინლად დაუშინეს ზარბაზანი რუსებს 203 მეტრიან გორიდან და ამით 23 ნოემბერს აკაზაკის გორა დააცლევინეს. იაპონელებმა მთელი ფორტი დაიჭირეს, რუსები განდევნეს და სინლიშანის ჩრდილოეთით სიმაღლე და გორა დაიჭირეს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
24 ნოემბერი

ლონდონი, 24 ნოემბერი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: „პორტ-არტურში მყოფ იაპონიის ჯარიდან იუწყებიან, რომ იაპონელებმა 203 მეტრიან გორიდან ყუმბარები დაუშინეს აქსაგამის გორას, რომელზედაც რუსები იყვნენ. რუსებმა ვერ გაუძლეს იაპონელთა ყუმბარებს და პოზიციებს თავი მიანებეს. სამშაბათს აქსაგამა იაპონელებმა დაიჭირეს. იაპონელებმა აიღეს აგრეთვე ორი სხვა გორა იტცუშანის მახლობლად. ამ დღეს რუსებმა და იაპონელებმა 5 საათით ზავი ჩამოაგდეს მოკლულთა დასამარხავად".

იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოდან დღეს მიღებული დეპეშა. როგორც ამ დეპეშაშია ნათქვამი, საზღვაო არტილერიის უფროსი იუწყება, რომ 10 ნოემბრიდან დაწყებული იაპონელები ყოველ დღე ყუმბარებს ესვრიან რუსის გემებს, რომელნიც პენიუშონის სამხრეთით არიან.

ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. გერმანელ სამხედრო სპეციალისტების ანგარიშით, იაპონელებს ამ ჟამად ომის ასპარეზზე 280 ათას კაცზე მეტი არა ჰყავთ. თუ ეს ანგარიში სწორეა, რუსებს გაცილებით მეტი ჯარი ჰყოლიათ იაპონელებზე. („რ. ს.").

პარიზული გაზეთები იუწყებიან, რუსის მანჯურიის არმიას ამნაირად გაუნაწილებენ სამს სარდალსაო: პირველი, მე-2, მე-3, და მე-4 აღმოსავლეთ-ციმბირის კორპუსები და პირველ საარმიო კორპუსები გენ. ლინევიჩის პირველ არმიას შეადგენენ. მე-8, მე-10 და მე-17 საარმიო კორპუსი გენ. გრიპენბერგის მეორე არმიას შეადგენენ, მე-4 და მე-16 საარმიო კორპუსები და მე-5 და მე-6 ციმბირის კორპუსები და მსროლელთა ბრიგადების ნაწილი გენ. კაულბარსის მესამე არმიას შეადგენენ. თუ საჭირო იქნება, მე-4 და მე-5 არმიასაც შეადგენენ. („ნ. დ.").

ბევრი დარწმუნებულია, რომ გაზაფხულამდე მდ. შახეზე ბრძოლა არ მოხდებაო; საფრანგეთის სამხედრო აგენტს გერის მუკდენში ბრძანება გაუგზავნეს, შინ დაბრუნდიო, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ეხლა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ბრძანება გაუქმდაო. გაზეთები სწერენ, საფრანგეთის მთავარ-შტაბს, ალბად, ცნობა მოუვიდა, რომ ამ მოკლე ხანში დიდი ბრძოლა დაიწყება მდ. შახეზე და ეს განკარგულება იმიტომ მოახდინაო. („რ. ლ.").

დეპეშებიდან ვიცით, რომ იაპონელების რაზმმა რუსის განაპირა მარცხენა ფრთაზე (იაპონელების განაპირა მარჯვენა ფრთაზე) ცინხოჩენჩინთან რამდენჯერმე იერიში მიიტანა გენ. რენენკამფის რაზმზე, მაგრამ რუსებს პოზიციები ვერ წაართვა და ისევ უკან დაიწია.

უცხოელი კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან მარშალ ოიამას მთავარ-სადგომიდან: იაპონელები უსათუოდ დაიჭერენ გენ. რენენკამფის ეხლანდელ პოზიციებს და იმის რაზმს, რამდენადაც კი შეიძლება, ჩრდილოეთისაკენ დაახევინებენო. ამბობენ, იაპონელები ხელ-ახლად უფრო დიდის ჯარით მიიტანენ იერიშს გენ. რენენკამფის პოზიციებზეო. („რ. ლ.").

„სტანდარდ"-ი იუწყება: ჩ რუსის კრეისერი და 3 მაშველი გემი 13 ნოემბერს გვიან საღამოთი დუვრს (ლონდონს ახლოო) მოუახლოვდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ამ გემებს ორი სხვა გემი მოემატა; ეს, ალბად, მენახშირე გემები იყვნენ. გემებმა დუვრის დასავლეთით ცოტა მანძილი გაიარეს და ნაპირიდან 3 მილზე ღუზაზე დადგნენ. გემები ერთმანეთს სიგნალებს აძლევდნენ, კრეისერები ზღვას პროჟექტორებით ანათებდნენ ხშირად. მერე გამოირკვა, რომ ერთს გემს მანქანა დაზიანებოდა და მთელი რაზმი შემდგარიყო, სანამ მანქანას აკეთებდნენ. ღამე ჯანღიანი იყო და გემები აღარა ჩანდნენ, მაგრამ, როცა მეორე დღეს პირველ საათზე ჯანღი გაიფანტა, კარგად გამოჩნდა, რომ შექსპირის კლდეს ახლო ერთი კრეისერი იდგა ღუზაზე და იმის გვერდზე სხვა გემი იდგა; ალბად, ესეც მენახშირე გემი იყო. მალე ჯანღმა ისევ დაჰფარა გემები, მაგრამ რამდენიმე ბოცმანი ირწმუნება, რომ ეს გემები კიდევ ღუზაზე დგანანო. ამ გემების ხანგრძლივმა ყოფნამ დუვრს ახლო ძლიერ აღელვა ქალაქი. („რ.").

„დეილი მეილ"-ი იუწყება: ინგლისის მთავრობა ბეჯით ღონისძიების მიღებას აპირობს, რომ ინგლისის ქვეშევრდომებმა ქვა-ნახშირი აღარ ჩააბარონ რუსის სამხედრო გემებს; ამას იქით სატრანსპორტო გემებს ბეჯით კონტროლს გაუწევენო. („რ. ლ.").

ინგლისელი მწერალი ვილსონი, სხვათა შორის, სწერს „დეილი მეილ"-ში: „იაპონია პატიოსანი და საიმედო მოკავშირეა; ამას იაპონიის ისტორიაც კარგად ჰმოწმობს; მაგრამ თუ ინგლისი, როცა საჭირო იქნება, თავის მოვალეობის ასრულებას ვერ გაჰბედავს, შეიძლება ეს მოკავშირე სამუდამოდ დაგვეკარგოს. ეს წამი იქნება უცებ დადგეს, ინგლისის ერი ყოველთვის მზად უნდა იყოს („რ. ლ.").

პორტ-არტური. „ბერლ. ლოკ. ანც."-ი იუწყება: 203 მეტრიანი გორა ანცეშანის ფორტის დასავლეთით მდებარეობს; ზედ მეორე ხარისხოვანი ფორტი იყო აშენებული, ეს გორა ახალ ქალაქის დასავლეთითა დევს და პორტ-არტურის კარტიდან სჩანს, რომ იაპონელები ეხლა მართლა პირდაპირ, დაუბრკოლებლივ დაუშენენ ზარბაზანს შიდა ნავთ-სადგურს.

„ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი შენიშნავს: „ეკო დე პარი"-ში საფრანგეთის მთავარ შტაბის აფიცრის შედგენილი კარტა იყო დაბეჭდილი. ამ კარტაზე 203 მეტრიანი გორა არაა ნაჩვენები, მაგრამ ფორტი ანცეშანი და იმის დასავლეთით მდებარე ეცშანი ახალ ქალაქის ჩრდილოეთით მდებარეობენ, ცოტა უფრო დასავლეთისაკენ. ასე რომ თუ 203 მეტრიანი გორა მართლა ანცეშანის დასავლეთით მდებარეობს, მაშ ახალ ქალაქის დასავლეთით-კი არა, ჩრდილოეთ-დასავლეთით ყოფილა. საეჭვოა, რომ 203 მეტრიანი გორა იქ მდებარეობდეს, სადაც „ლოკ. ანც."-ი უჩვენებს; ჩვენ გვგონია, რომ ეს გორა უფრო ანცეშანის აღმოსავლეთით უნდა მდებარეობდეს რკინის გზის ახლო.

„რეიტერის სააგენტო" იუწყება: ტოკიოში ირწმუნებიან, 203 მეტრიან გორის აღებით, იაპონელებმა თითქმის პორტ-არტურის 90% (ათის წილიდან ცხრა) ჩაიგდეს ხელშიო. იქნება ეს ცნობა სწორე არ იყოს. 203 მეტრიან გორას რომ ასეთი მნიშვნელობა ჰქონდეს და მთელ პორტ-არტურს მაღლიდან დაჰყურებდეს, დიდი დაუდევნელობა იქნებოდა, რომ რუსებს ზედ მკვიდრი, ნამდვილი ფორტები არ აეშენებინათ. („ნ. დ.").

ამ ბოლო დროს დეპეშები იუწყებიან ხოლმე, იაპონელებმა ამა და ამ ფორტის გლასისი აიღესო. „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი სწერს: ფორტის წინ თხრილია ამოთხრილი; თხრილის გარედან დაყრილ მიწას გლასისი ჰქვიან. ეს მიწა იმნაირადაა დაყრილი, რომ თხრილის მხარეს მაღალია, მტრის მხარეს დაბალია.

იაპონიის პალატა მადლობას უცხადებს არმიასა და ფლოტსა. „ტაიმს"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან, 18 ნოემბერს იაპონიის ზედა პალატამ მადლობა გამოუცხადა არმიასა და ფლოტსაო:

1. „მას აქეთ, რაც არმიები მანჯურიაში შევიდნენ, ჩინებულ სტრატეგიას მისდევდნენ და რაინდულად იბრძოდნენ, ერთხელ არ წაუგიათ ბრძოლა და ერთხელ არ დაუხევიათ უკან ძნელის საქმის წინ. სამხრეთში პორტ-არტურის ციხეს იღებენ, ჩრდილოეთში ლიაოიანთან გაიმარჯვეს და მტრის წინააღმდეგობას სძლიეს მდ. შახეზე. არმიების მეცადინეობის წყალობით, ომი გამარჯვებით მიდის და ჩვენის ქვეყნის სახელი შინ, თუ საზღვარ-გარედ აღმაღლდა. უკვირს რა არმიების მამაცობა, პალატა გულ-წრფელ მადლობას უცხადებს იაპონიის ჯარსა".

2. „მას აქეთ, რაც ჩვენი შეერთებული ესკადრები ზღვაში საბრძოლველად გავიდნენ, ბევრ ბრძოლაში გაიმარჯვეს და ერთგულება, ძლიერება და ბრწყინვალე ნიჭი გამოიჩინეს, მეტადრე პორტ-არტურთანა, ულსანის ბუხტასთან (1 აგვისტოს, ადმ. კამიმურასა და ვლადივოსტოკის ესკადრის ბრძოლა) და სოიას სრუტეში („ცუსიმა"-სა და „ნოვიკ"-ის ბრძოლა), პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს ზღვიდან და ამდენი ხანია ჰდარაჯობენ; გაჭირვებას არად აგდებენ და ყველა თავიანთი მოვალეობა აასრულეს. გონიერ სტრატეგიითა და მუდმივ სახელოვანის გამარჯვებით, შეერთებული ესკადრები მალე მოსპობენ მტრის ფლოტს შორეულ აღმოსავლეთში. ჩვენმა ფლოტმა ჩვენის ქვეყნის სახელი აღიდა შინა, თუ საზღვარ-გარედ და პალატა, უკვირს რა შეერთებულ ესკადრების მამაცობა, გულწრფელ მადლობას უცხადებს". („რ. ვ.").

იაპონელ მოღვაწის აზრი ომის მიმდინარეობაზე. ერთს ბელგიურ გაზეთის კორესპონდენტს წარჩინებულ იაპონელ მოღვაწესთან ეხლანდელ ომზე უსაუბრნია. იაპონელ მოღვაწეს ომის ახალ ხანასა და ბალტიის ესკადრაზე შემდეგი უთქვამს: „ეხლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს გამაგრდება პორტ-არტური. თუ ეს ციხე ახალწლამდე ჩავიგდეთ ხელში—რისაც მტკიცე იმედი გვაქვს,—ომის ახალი ხანა მეტად მოკლე იქმნება. ცალკე გენ. ნოგის არმია განთავისუფლდება, მარშალ ოიამას მიეშველება და გენ. კუროპატკინის არმიაზე მედგარ იერიშის მიტანას გაუადვილებს. მაშინ ჩვენი ჯარი უსათუოდ დაიჭერს მუკდენს. პორტ-არტურის აღება ცალკე იაპონიის ფლოტს გაუადვილებს საქმეს. მაშინ ჩვენი ფლოტი რუსის ესკადრას კუნძულ ფორმოზასთან დაჰხვდება და დაამარცხებს. რა წამს პორტ-არტურსა და მუკდენს ხელში ჩავიგდებთ, მთელი ზღვა იაპონიის ხელში იქმნება და მეტი ბრძოლა და მოქმედება აღარც კი დაგვჭირდება; იმ დრომდე მოვიცდით, ვიდრე რუსეთი ზავზე მოლაპარაკებას არ ჩამოაგდებს. რაკი ზღვა ჩვენ ხელში იქმნება, იაპონია დაუბრკოლებლივ გადაიყვანს მანჯურიაში მაშველ ჯარსა და იქ იმდენ ჯარს იყოლიებს, რამდენიც რუსეთს ეყოლება, და რუსეთს სხვა გზა აღარ ექმნება, მორიგებაზე ლაპარაკი უნდა ჩამოაგდოს"!

— პორტ-არტური რომ ვერ აიღოთ და მანამდე ბალტიის ესკადრა კუნძულ ფორმოზასთან, ან ყვითელ ზღვამდე მოვიდეს?— უკითხავს კორესპონდენტს.

— ჩვენ იმდენი სამხედრო გემი გვყავს, რომ პორტ-არტურის ბლოკადაზე (ბლოკადა—ალყის შემორტყმა) არც მაშინ ავიღებთ ხელსა და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასაც რომელსამე პორტში დავამწყვდევთო. („პ. ვ.").

საუბარი იაპონიის პირველ მინისტრთან. იაპონიის პირველ მინისტრს გრაფ კაცურის „რეიტერის სააგენტო"-ს კორესპონდენტი მიუღია და, სხვათა შორის, შემდეგი უთქვამს:

„რუსეთს არ ეგონა, რომ იაპონია ომს გაუბედავდა. ჩვენ კი ყოველთვის კარგად გვესმოდა, თუ რა ძნელი საქმე გვედო წინა და ყველაფრისათვის მზად ვიყავით. რუსეთს ტყუილად აქვს იმედი, რომ ომი რამდენიმე ბრძოლით გათავდებაო. ჩვენ მზადა ვართ, უკანასკნელი ჯარის კაცი და უკანასკნელი გროში შევსწიროთ ამ ომსა. რაკი პორტ-არტურის აღება დაგვიანდა, რუსეთს იმედი მიეცა, პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს დახმარებას გავუწევთო; ამ საქმისათვის რუსეთმა თავისი ევროპიული პორტები შეასუსტა და იქაური გემები შორეულ აღმოსავლეთისაკენ გამოგზავნა. ამავე დროს რუსეთი ხმე-

ლეთის ჯარსაც ბევრს ამზადებს საომრად და კორპუსს კორპუსზე ჰგზავნის მანჯურიაში. იმისი ჯარისა და ფლოტის სარდლები უმთავრესად პორტ-არტურის შველას ცდილობენ. თითქო ყველაფერი პორტ-არტურზე იყოს დამოკიდებული, მაგრამ არა მგონია, რომ პორტ-არტურის აღებით ომი გათავდეს. რუსეთი მაშინ ახალ პლანს შეადგენს და ახალ ღონისძიებას მიიღებს. დიდის ინტერესით ვადევნებ თვალ-ყურს ამ ახალ პლანებს. იაპონიის შინაური მდგომარეობა საკმაოდ კარგია. ომმა პარტიული ბრძოლა სულ მოსპო. პალატამ დაამტკიცა კიდევაც სამხედრო ბიუჯეტი 576 მილიონი იენი (1 იენი—97 კაპ.). საბუთია ვიფიქროთ, რომ ეხლანდელ სესიის დროს ახალ ბიუჯეტს—776 მილიონ იენსაც დაამტკიცებს. დიდებულ საქმის წინ გუშინდელი მტრები შერიგდნენ და ერთმანეთს ხელი გაუწოდეს. ჩვენში ომისა და ზავის პარტიები არ არსებობს. ეკონომიური მდგომარეობაც საკმაოდ კარგია. ყველა შინაგანმა სესხმა ისე კარგად ჩაიარა, რომ არც კი ველოდით. ამიტომ ჩვენი ხალხი დინჯად მისდევს თავის ჩვეულებრივ საქმესა და ხელობას. მოსავალი წელს მეტად კარგი მოვიდა, შარშანდელს 100 მილიონ იენით გადააჭარბა; გარეშე ვაჭრობაც სჯობია შარშანდელს. მხოლოდ ფუფუნებისათვის საჭირო ნივთები გაძვირდა ცოტაოდნად. ჩვენ ეხლა ერთი-ორად მეტსა ვმხნეობთ, ბეჯითად ვმუშაობთ, გაუჭირვებლივ ვცხოვრობთ და გაბედულად, უყოყმანოდ განვაგრძობთ ომსა". („ნ. დ.").

რუსეთისა და იაპონიის ფლოტი. დეპეშიდან ვიცით, რომ სასეპოდან 3 დიდი კრეისერი და 15 კონტრ-ნაღმიანი გემი გავიდა კონტრ-ადმირალ ურიუს უფროსობით. ამის თაობაზე „ნ. ფ. პრესე" სწერს: ჩვენ გავიგეთ, რომ ადმ. ურიუს ესკადრას მეტად საიდუმლოდ ამზადებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც ვერ მოახერხეს ამოდენა ესკადრის გასვლის დამალვა, თუმცა გემები ნავთ-სადგურიდან სულ თითო-თითოდ, ცალკ-ცალკე გადიოდნენ. მეზღვაურები ჰფიქრობენ, ადმ. ურიუს დაავალეს, მალაის არხიპელაგში სადმე ხაფანგი დაუგეთ ბალტიის ესკადრასაო. იქ, არხიპელაგში, ბევრი მარჯვე ადგილი იპოვება ამ საქმისათვისაო. („ზ. დ.").

ზოგი დარწმუნებულია, რომ იაპონიის ფლოტი ინდოეთის ოკეანეში დაუხვდება რუსის ესკადრასაო. მაგრამ „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. „უსინათლო მეზღვაური" არ ეთანხმება ამ აზრსა და ჰფიქრობს, რომ იაპონია მარტო კრეისერებსა და ნაღმიან გემებს გაჰგზავნის რუსის ფლოტის დასახვედრად, ადმირალ ტოგოს უმთავრესი ფლოტი კი იაპონიის ზღვაში მოუცდის რუსის ესკადრასაო. იაპონელებს ურჩევნიათ, რუსის ფლოტს თავიანთ ნავთსადგურებს ახლო შეებრძოლნენ, რომ ბრძოლის დროს დაზიანებული გემები იაპონიის დოკებში ხელად შეაკეთონ. ინდოეთის ოკეანეში წასვლა რუსის ფლოტის დასახვედრად იაპონიის ფლოტს ხელს არ მისცემს, ინდოეთის ოკეანეში რომ ბრძოლა მოხდეს. მაშინ იაპონიის დაზიანებული გემებიც სადმე ნეიტრალურ პორტში შევიდნენ და იარაღი აიყარონ, ესე იგი ისეთივე საქმე დაემართებათ, როგორიც რუსის გემებს დაემართათ, ამიტომ იაპონიის ფლოტი კუნძულ ფორმოზაზე ქვევით აღარ წავა რუსის ესკადრის დასახვედრად. იაპონელები რუსის ესკადრას მხოლოდ კრეისერებსა და ნაღმიან გემებს მიაგებებენ გზაში. ასეთი სუმბუქი ესკადრა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას სადმე მალაის არხიპელაგში დაუხვდება, თვალ-ყურს ადევნებს, გზა და გზა დაჰზვერავს და თუ სადმე მოასწრო, სამხედრო და სატრანსპორტო გემებსაც დააზიანებს და ამით რუსის ესკადრას საქმეს გაუჭირვებს და შეასუსტებს.

„ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება: კორეის სამხრეთ-დასავლეთით დიდი კუნძული კველპარტი მდებარეობს; ამ კუნძულს მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს; რუსის ესკადრამ რომ გაიმარჯვოს, ამ კუნძულს თავის სტრატეგიულ ბაზად გაიხდის. კუნძულის გუბერნატორმა შეატყობინა კორეის იმპერატორს, იაპონელები კუნძულის დაჭერასა და გამაგრებას ცდილობენ ჩ მიბძანეთ, როგორ მოვიქცეო. ამას წინად იაპონელებს გემით მუშები მიუყვანიათ, იარაღი და მაშინები მიუტანიათ კუნძულზე და მაშინვე სიმაგრეების აშენება დაუწყიათ. („ბ. ვ.").

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

◆ **ცნობები ხოლერის შესახებ:** 22 ნოემბერს ტფილისში ავად გახდა 2 კაცი. ბაქოში 22 ნოემბერს ავად გახდა 14 კაცი, მოკვდა სამი. ბალახანაში ავად გახდა—2, მოკვდა—3: ზანგეზურის მაზრაში ხელახლა ავად გახდა—36, მოკვდა—32. სოფ. ალიდარსა და მარზავიდში 8 ნოემბრამდე ავად გახდა და გადაიცვალა: პირველში—14, მეორეში—1. ყაზახის მაზრაში მოკვდა 1. ჯიბრაილის მაზრაში 15 ნოემბრიდან 17 ნოემბრამდის ავად გახდა 6, მოკვდა—1. სოფელ სარკარში (განჯის მაზრა) 10—20 ნოემბრამდის ავად გახდა 9, მოკვდა—8. ერევნის გუბერნიაში 15 ნოემბერს ავად იყო: ნახიჩევანის მაზრაში—46, შარურო-დარალაგეზის მაზრაში—30, ერევნისაში—93, ქალაქ ერევანში—28, ეჩმიაძინისაში—1, ალექსანდროპოლისაში—1. ნახიჩევანის მაზრაში 22 ნოემბრამდე ავად გახდა 144 კაცი, მოკვდა 142, მორჩა 19, ავად არის 43. შარურო-დარალაგეზის მაზრაში ავად გახდა 166, მოკვდა 141, მორჩა 36, ავად არის 19. ერევნის მაზრაში ავად გახდა 502, მოკვდა 438, მორჩა 96, ავად არის 61. ქალ. ერევანში ავად გახდა 167, მოკვდა 114, მორჩა 27, ავად არის 59; ეჩმიაძინის მაზრაში ავად გახდა 29, მოკვდა 24. ახალ ბაიაზეთის მაზრაში ავად გახდა 8, მოკვდა 2, მორჩა 4, ავად არის 2. ალექსანდროპოლის მაზრაში ავად გახდა 2.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ჩვეულებრივი **ქართული საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოდ** გაიმართება 10 დეკემბერს სათავად-აზნაურო საკრებულოს დიდ დარბაზში. გაიმართება კონცერტი, შემდეგ ცეკვა ევროპიული და ლეკური. 15% შემოსავლისა გადაიდება ომში მოკლულთა ოჯახების სასარგებლოდ.

◆ როგორც შევიტყეთ, ადგილობრივ სასულიერო მთავრობას გადაუწყვეტია **საქართველოს საეკლესიო მუზეუმი**, რომელიც სიონის ტაძრის შენობაშია, გადაიტანოს ვერაზე და მოათავსოს სასულიერო სემინარიის ახალს შენობაში. მუზეუმის გადატანა განზრახულია იმ მოსაზრებით, რომ ჰსურთ ძველი ნივთები და აგრეთვე ხელთნაწერები გააცნონ ხოლმე სემინარიის მოსწავლეებს. ჩვენის აზრით, მუზეუმის ეხლანდელ ადგილიდან გადატანა მეტად უხერხულია. მუზეუმში დიდ ძალი ხალხი დადის ძველ ნაშთების დასათვალიერებლად. დღეს მუზეუმი შუა ქალაქშია და ამისთვის ადვილი მისადგომია. თუ მართლა ვერაზე გადაიტანეს, მაშინ ვერ შეიძლებს იმ სიშორეზე სიარულს. რაც შეეხება მოსწავლეებს, ადვილად შეუძლიანთ დრო გამოშვებით წამოიყვანონ და დაათვალიერებინონ ხოლმე. ესეც არ იყოს, ხელთნაწერების შესწავლა მოსწავლეს სად შეუძლიან, ეს მეცნიერის საქმეა და არა მოსწავლისა.

◆ **ციმბირის გზაზე** ამ ომის დროს დიდძალი ვაგონები დასჭირდათ ჯარისა, სურსათისა, ზარბაზნებისა და სხვა საქონლის გადასაზიდად. რადგან ციმბირის, იმიერ-ბაიკალის და მანჯურიის გზებს საკმაო ორთქლმავლები და ვაგონები არ მოეპოვებოდათ, რუსების სხვა რკინის გზებს მოსთხოვეს. დღემდე რკინის გზებმა და, მათ შორის ამიერ-კავკასიისამაც, ბევრი ვაგონი გაჰგზავნეს. ეხლა მარტო ამიერ-კავკასიის რკინის გზას ხელ-ახლა მოსთხოვეს 50 სამგზავრო ვაგონი. რადგან ძლიერ მცირდება ვაგონების რიცხვი, რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, მოსპოს შემდეგი სამგზავრო მატარებლები: ქუთაისსა და ფოთს შუა— № 36, ბათუმსა და შორაპანს შუა—№№ 9 და 10, ტფილისსა და ბაქოს შუა—№№ 17 და 18, ალექსანდროპოლსა და ერევანს შუა №№ 90/91 და 92/93.

◆ ტფილისის სასულიერო **სემინარიის ახალი შენობა** ვერაზედ მალე დამთავრდება. ასე რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან უკვე ახალს შენობაში დაიწყება სწავლა. სემინარიის შენობასთან აკეთებენ ამჟამად პატარა ბაღს. სემინარიის გამგეობამ გუშინ სთხოვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამ ბაღის გასამშვენებლად საბაღოსნო სკოლიდან დაუთმონ ხეებისა და ყვავილების ნერგები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილებამ მისწერა გუშინ ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებს, კერძო კაცებმა ითხოვეს ვერაზე **ოლგას ქუჩიდან ხაბურთალომდე ცხენის რკინის გზის გაყვანა**. რადგან ხელშეკრულებით გზის გაყვანის უფლება უსახელო საზოგადოების შემდეგ თქვენა გაქვთ, შეგვატყობინეთ, გსურთ თუ არა აღნიშნულ გზის გაყვანაო.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ მისწერა უბნის არქიტექტორებსა და ქალაქის ინჟინერს დიდი ყურადღება მიაქციონ **ტროტუარებს სახლების წინ**. სიგანე ტროტუარისა უნდა უდრიდეს ქუჩის ერთ მესამედს, თუ ქუჩა სიგანით 4 საჟენია. ყოველს შემთხვევაში ტროტუარი $1^{1}/_{3}$ არშინზე ნაკლები არ უნდა იყოს.

◆ მოგვივიდა **საყმაწვილო ჟურნალის** „ნაკადული"-ს მეორე ნომერი, მცირე წლოვანთათვის გამოცემული. ეს ნომერიც ისევე კარგად და შინაარსიანად არის შედგენილი და კოხტად გამოცემული, როგორც პირველი. აქვე მოგვყავს შინაარსი: „ყურშა და გოგლიკა", ლექსი ვაკელისა, „ლოკოკინა და აბრეშუმის ჭია", ზღაპარი მ. დ.-სა, „ჩხუბის შემდეგ", ი. ალხაზ.-სა, „არმაზობა"—იაპონელი ბავშვები, სახალისო სამუშაო და გასართობები და პატარა მკითხველის წერილები.

◆ გურია-სამეგრელოს სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალ-ყურე **თევდორე ჟორდანია**, უწმ. სინოდის განკარგულებით, დაინიშნა იმერეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალ-ყურედ, ხოლო იმერეთის საეპარქიო სკოლების მეთვალ-ყურე ვასილ ვასილიევი დაინიშნა ჟორდანიას ალაგას.

◆ უწმ. სინოდის დადგენილებით სოხუმის ოლქში მოკვანის მიძინების ტაძართან დაარსდა **დედათა ახალი მონასტერი**. სახელად „მოკვინის მიძინების" მონასტერი დაერქვა.

◆ რადგან ზოგიერთმა სამკურნალო გამგეობამ მთავარ სამკურნალო საბჭოს განმარტება მოსთხოვა შესახებ **ქალთა ცენზისა** აფთიაქებში შესვლის დროს საფარმაცევტო ხელობის შესასწავლად, ამ საბჭომ სახალხო განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით შემდეგი პასუხი დაუგზავნა გუბერნატორებს და მათ შორის ტფილისისასაც: აფთიაქში შესასვლელად საკმაოა ქალთა გიმნაზიის 4 კლასის მოწმობა. ამას გარდა საჭიროა ლათინურ ენაში ეგზამენის დაჭერაო.

◆ განჯის გუბერნატორმა აცნობა ტფილისისას, რომ განჯის საგუბერნიო საპატიმროში **პატიმართა შორის ხოლერა გაჩნდა** და ტუსაღებს აქ ნულარ გამოგზავნითო.

◆ 23 ნოემბერს **ბაქოში მოხდა** ქალაქის გამგეობის ერთის წევრის არჩევნები. აარჩიეს ძველი წევრი დ. დ. არუთინოვი. ამავე დღეს საბჭომ დაადგინა, შეუერთდეს მოსკოვის ქალაქის გამგეობის წინადადებას ქალაქის მოურავთა კრების მოხდენის შესახებ. ამასთან საბჭომ აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროგრამა ადგილობრივ თვითმმართველობის საჭიროებათა შესახებ.

◆ ანდრეევის ქუჩაზედ მცხოვრები გზათა ინჟინერი თეოფილ შტრომბერგი 24 ნოემბერს რაღაც საქმისთვის ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში ყოფილა. მასთან ვიღაც უცნობი კაცი მისულა და უთქვამს, მანეთის წვრილი ფული გექნება და მომეციო. შტრომბერგს ამოუღია საფულე, რომელშიაც 286 მან. 41 კაპ. ჰქონია, და როცა უცნობის თხოვნა შეუსრულებია, საფულე პალტოს გარედ ჯიბეში ჩაუდვია. ეს შეუნიშნავს ვიღაც კაცს და შერჩეულ დროს ინჟინერისათვის ჯიბიდან ფული ამოუცლია. როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, ასეთი ამბავი ხშირია ფოსტაში. ჯიბგირებმა სწორედ, რომ კარგ ადგილს მიაგნეს. კონტორაში ყოველ დღეს დიდძალი ხალხი შედის, ზოგი ფულს ჰგზავნის, ზოგი იღებს და ქურდებიც, ვითომც საქმისათვის კანტორაში შესულნი, შორიდან სვებიდს უთვალთვალებენ და როცა შემთხვევა ეძლევათ, ჯიბეებს უცარიელებენ. საფოსტო უწყებამ ან პოლიციამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას.

◆ რედაქციამ მიიღო შოთა რუსთაველის ახალი სურათი, გამოცემული წიგნის მაღაზიის „ცოდნის" მიერ. სურათი დიდია და კარგად და სუფთად არის გამოცემული.

◆ სად. კარაკლისი. 25 ნოემბერს, ღამე, კარაკლისსა და შაკალს შუა, მე-135 ვერსზე სახალხო მატარებელი № 91 გაჩერდა 1 საათსა და 40 წუთს, რადგან ქვის ზვავი ჩამოწოლილიყო ლიანდაგზე.

◆ მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა სთხოვა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, დანიშნოს თავისი წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელმაც უნდა გამოსცდელი ეგზამენები დააჭერინოს ტფილისის საბოტანიკო ბაღის პრაქტიკულ სკოლის მუშებს. საზოგადოების საბჭომ დანიშნა ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი.

◆ სად. ალიათი. კონდუქტორების დასასვენებელი და სამორიგო სადგომი ახლად აშენებულ სადგომში გადაიტანეს და ახალის ავეჯით მოაწყეს.

◆ 25 ნოემბერს, დილით, ელისაბედის ქუჩაზე, რკინის გზის კონდუქტორის რომენკანის ცოლმა პირსახოცით თავი ჩამოიხრჩო. [illegible] 35 წლისა იყო და ორი შვილი ჰყავდა.

◆ სად. სუფსა. 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათსა და 30 წ., როდესაც საქონლის მატარებელი № 150 სუფსასა და ნატანებს შუა მიდიოდა, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ვაგონის ფიცრები აეტეხათ და საქონელი მოეპარნათ.

◆ სად. ალიათი. 23 ნოემბერს, როდესაც საქონლის მატარებელი მიდიოდა, მე-799 ვერსზე სამ ადგილას გაწყდა და ერთი ცისტერნის ვაგონი დაიმტვრა.

◆ საქართველოს საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა და ექსარხოსმაც დაამტკიცა შემდეგი: 1. გორის ორ-კლასიან სკოლის საღმრთო სჯულის მასწავლებლად დაინიშნოს მღ. ტატიშვილი; 2. ჯავის (ოსეთი) სკოლისა მღ. ზურაბ ჯიოშვილი; 3. ბლ. მღ. მეტრეველის წარდგენილებით დათხოვნილ იქმნას თანამდებობიდან დუშეთის სკოლის მასწავლებელი ხანდამიშვილი; 4. დათხოვნილ იქმნეს თავისავე თხოვნით წილკნის მასწავლებელი ოლღა ბაკურაძე; 5. ველისციხის სკოლაში დაინიშნოს ბარბარე ნაცვლიშვილი; 6. ოზაანის სკოლაში პავლე კობიაშვილი; 7. გურჯაანის სკოლაში ევა ნატროშვილი; 8. ზემო-მაჩხაანის სკოლაში საღმრთო სჯულის მასწავლებლად მღ. მიხეილ ბენაშვილი; 10. ხირსისა—მღ. ნიკაშვილი, 11. ჯუღაანისა მღ. შანშიევი; 12. ტფილისის ვერის სკოლის მასწავლებელი ვერა ლაფერაშვილისა ტფილისის ცეოდოსის სკოლაში, ხოლო ამ სკოლის მასწავლებელი კნეინა მაყაშვილისა ვერისაში; 13. მომრიგებელი შუამავალი სარდიონ ამირეჯიბი დაინიშნოს მსხლების სკოლის მზრუნველად.

◆ პოლიციის მე-10 ნაწილში 23 ნოემბერს, დღის 12 საათზე, შემდეგი ამბავი მოხდა: სპარსეთის ქვეშევრდომს ხომეს ხეთო ხეჩოს რაღაც ანგარიშების გამო მტრობა ჰქონია ანდრეევის ქუჩაზე მცხოვრებ იგიტა მხითაროვთან. ხეჩო აღნიშნულ დროს მიჰპარვია მეეზოვე მხითაროვს და ორჯელ რევოლვერი დაუცლია. მხითაროვის იღბლად ერთი ტყვია ასცდენია, ხოლო მეორე ქამრის სპილ რკინას მოჰხვედრია და ამნაირად სიკვდილს გადარჩენილა. ხეჩო დააპატიმრეს.

◆ 24 ნოემბერს, პოლიციის მე-8 ნაწილში, კუვშინნი ქუჩაზე, შავერდოვის სახლში მცხოვრებ კასპაროს შინ არ ყოფნის დროს ქურდებს გაუტანიათ ფულად 15 მან., ტანისამოსი და სხვა ნივთები 30 მანეთისა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

◆ სოლორიაში სამოსახლო ადგილების იჯარით გაცემა დროებით შეჩერდა, რადგან სიჯარო ვაჭრობის დროს ფასებს ძლიერ დაუწიეს, ასე რომ—თუ პირველად თითო სამოსახლო ადგილი, სივრცით 200 ოთხკუთხი საჟენი, საშუალო რიცხვით წლიურად 30 მანეთად იძლეოდა, ეხლა ასეთივე ადგილი 15 მანეთადაც არ გადის. ზოგიერთებმა პირველად აღებულ ადგილზედ უარიც განაცხადეს და ამგვარად შეატოვეს ქალაქს ბეე წარდგენილი ფული, თითო სამოსახლოზე თითო თუმანი. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ახალი მოიჯარადრენი დაშინდნენ, ქალაქი ამ ახალს აგარაკს ყურადღებას არ მიაქცევს, არ იზრუნებს არც ქუჩებისა და მოედნების გაკეთებაზედ, არც განათებაზე და სხ., ჩვენ-კი იმდენი შეძლება არა გვაქვს, რომ ჩვენი ხარჯით გავაკეთოთ ყველაფერი ესაო. და მართლაც, თუ ქალაქი არ დაეხმარა, ისე ახალ მოიჯარადრეთ არ შეუძლიანთ თავიანთ ხარჯით ქუჩების გაკეთება და განათება, რადგან მოიჯარადრეთა დიდი უმრავლესობა შესდგება სულ ღარიბ-ღატაკ ხალხისაგან, რომელთაც ერთი ქოხის დადგმა თუ მოახერხეს ნაქირავებს ადგილზე, მეტს ვერ შესძლებენ. დიდი უსამართლობაც იქნება, რომ ქალაქმა 7000—8000 მანეთი აიღოს ისეთ ადგილებიდან, რომელსაც ამდენ ხანს თითქმის არავითარი შემოსავალი

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

„მოსკ. ვედ."-ის მოუსვენრობა.—გადამეტებული სისასტიკე.—შიშმა რა იცის.—„წესიერების დაცვაც" ასე უნდა.—იაკუტსკში ცხოვრება.

„მოსკ. ვედომ." ცეცხლს აფრქვევს. აღარც დღე აქვს სიწყნარის მოსვენება, აღარც ღამე. „გაზაფხულის მოახლოვება"-მ, ხმა მაღალმა დაპარაკმა და ათას რამის გამოაშკარავებამ სულ დაუფრთხო ძილი და დაუკარგა მყუდროება. რა ხერხსა და საშუალებას არ მიჰმართა ამ გაზეთმა, რომ „აღლაგმა" და ჩაეჩუმებინა „სამშობლოს მოღალატენი".

უპირველესად მიომარჯვა ძველებური იარაღი—დაბეზღება და ხან ერთ გაზეთზე, ხან მეორეზე განაცხადა,—ესენი ძირს უთხრიან თვით-მპყრობელობას, რომელმაც ესოდენ გააძლიერა და ააყვავა რუსეთის ცხოვრებაო. როდესაც ამ იარაღმა არ გასჭრა, მოედანზე სხვა-და-სხვა „აზნაურები" გამოვიდნენ. ერთი ამათგანი, „აზნაური პავლოვი" (სწორედ ასე აწერდა წერილს), ამტკიცებდა, დღევანდელ წეს-წყობილების მეოხებით ყველაზე მეტი უფლება და კარგი ცხოვრება გლეხსა აქვს და ლიბერალებს-კი უნდათ ეს უპირატესობა ჩამოართვანო. ამის შემდეგ გაზეთში ორიოდე „გლეხის" წერილიც დაიბეჭდა: გმადლობთ ჩვენის ინტერესების დაცვისა და ჩვენთვის თავის გამოდებისთვისაო, უთვლიდნენ აზნაურ პავლოვს და მთელ პატრიოტ რედაქციას ეს გლეხები.

ეტყობა, არც ამას გაუჭრია, რომ მოსკოვური გაზეთი ეს ერთი ხანია მთელ რუსეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს შეჰღაღადებს, თქვენ უნდა ამოიღოთ ხმა და დაჭკმოთ ეს რადაც „გაზაფხულის ტრფიალებსაო". წინამძღოლების კრება ეხლახან დაიწყო მოსკოვში, გგონებ, გათავდა კიდეც. არ ვიცით, კრება შეუსმენს თუ არა ბ-ნ გრინგმუტის ორგანოს რჩევას, მაგრამ თვით გრინგმუტსა და იმის თანამოაზრეთ კი გული გულის ადგილას აღარა აქვთ და დღეები სულ ერთიან დაებნათ. აბა, რომელი ჭკუათა მყოფელი იტყვის ეხლა იმას, რასაც „მოსკ. ვედომ." ამბობს. სულ უკანასკნელ ნომერში გაზეთი ურჩევს მთავრობას, ციმბირში მიწები მემამულეებს დაურიგოს და მსხვილი მიწათ-მფლობელობა შექმნას... რა თქმა უნდა, ამ მამულებზე გლეხებიც უნდა იყვნენ.

—

საზოგადოდ, „მოსკ. ვედ."-ს და იმის თანამოაზრეებს ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება უმისოდ, რომ „აზნაური", პოლიცია და მათრახი არა ბატონობდეს. ეხლა ხშირად შეჰხვდება კაცი იმ შედეგებს, რომელიც ამ გვარ ბატონობას მოჰყვა. როგორც „ნაშა ჟ." გადმოგვცემს, გაძლიერებულ დაცვის დებულებამ და სასტიკმა ზომებმა თავისებური დაღი დაასვეს მთელ რუსეთის ცხოვრებას. „საქმე ის არის,—განაგრძობს გაზეთი",—რომ ეს დებულება დაკანონებულია განსაკუთრებულ შემთხვევებისათვის, როდესაც სახელმწიფოს განსაცდელი მოელის. ამასთან იგი წუთიერია, დროებითი. ჩვენში-კი ეს წესი მართვა-გამგეობის ჩვეულებრივ, ნორმალურ, ყოველ-დღიურ წესად გადაიქცა". გაზეთის აზრით, საყურადღებო აქ ის-კი არ არის, რომ ადმინისტრაცია ასეთ წესს მიჰმართავს და ამით სპობს პირად და ქონებრივ უფლებათა გარანტიას. საყურადღებო ის არის, რომ ეს წესი წლითი-წლობით ახლდება, ამასთან თითქმის ყველგან, მთელ რუსეთში.

ამ გარემოებამ ისე შეაწუხა თვით ნებობის და უფლების ამაღლებას მართვა-გამგეობის სათავეში მყოფნი, რომ არა თუ მაღალნი, სულ დაბალთაც-კი ქედი აიმაღლეს და ზვიადნი შეიქნენ.

—

გიმეორებთ, მაგალითები ამ ქედ-მაღლობის და ზვიადობის ბევრისაგან ბევრია. კოვროვის მაზრის სოფელ დეგნევიდან სწერენ „რუსკ. სლოვოს". ადგილობრივი ინტელიგენციას ისეა დაშინებული, რომ წითელ ჯვრის სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვაც კი ვერ გაუბედნია. „რა გიცით, არაფერი არ გამოვიდესო"...—ამბობენ აქეთ-იქიდან. ამავე სოფელში შესდგა ბალალაიკის დამკვრელთა წრე. ამ „ორგანიზაციის" შესახებ აცნობეს, ვისაც ჯერ იყო. მაგრამ მალე ისეთი სასტიკი ბრძანება მოვიდა, რომ „დამნაშავეებმა" მუსიკაზე ფიქრის-კი თავი დაანებეს.

იაროსლავის გუბერნიაში არსებობს სწავლა-განათლების დამხმარებელი და სასარგებლო ცნობათა გამავრცელებელი საზოგადოება. საზოგადოებასთან კომისიაა ბავშვთა გასართობებისა და გიმნასტიკის მოსაწყობად. ერთ მშვენიერ დღეს,—გადმოგვცემს „რუსი" (№ 294)—კომისიამ განიზრახა, ბავშვებს თამაშობა გაემართა. მოაწყო ყველაფერი, დაამზადა აფიშაც და გაგზავნა გუბერნატორთან. მალე ბრძანება მოვიდა,—უიგულვებელყავით. პოლიციელს, უბნის ზედამხედველს, დაევალა, თვალყური დაეჭირა, რომ კომისიას „სისრულეში არ მოეყვანა თავისი მავნე და ბოროტი განზრახვა და არ მოეწყო თამაშობა ბავშვებისათვის".

განგებ მოვიყვანეთ უმნიშვნელო ამბები. ჯერ. [illegible] თურმე რა უნდა იყოს წინააღმდეგო ან საშიშ სახელმწიფოსთვის ბალალაიკის დამკვრელთაგან ან ბავშვების თამაშობისაგან.

—

პიროვნების შელახვა და ადამიანობის არად ჩაგდებაც ისევე ხშირია, როგორც სხვა არა საქებური საქმე. „ოდეს. ნოვ." შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ელისავეტგრადელ ურიადნიკის ბოგდიუკის შესახებ. ბოგდიუკი ერთ ბაკში მისულა, სადაც ღამის გასათევად ჩამომხტარა ორი კაცი: ერთი ებრაელი კამენეცკი, მეორე მართლმადიდებელი მთავარი ვიხნიცკი. ბოგდიუკს მისვლისთანავე ორივესთვის პასპორტი მოუთხოვნია. კამენეცკის პასპორტი არა ჰქონია, რადგან იქვე მახლობლად სცხოვრობდა და ყველა კარგად იცნობდა თურმე, ხოლო მთავრის პასპორტი ვადა გასული გამოდგა. ურიადნიკი ჯერ მთავარს შესდგომია: უტიცნია წვერში ხელი და სილა გაურტყამს. შემდეგ ძირზე ცემა დაუწყია. როდესაც მთავარს მორჩენილა, ჯერი ებრაელზე მისულა. გაუტიტვლებია და შესდგომია ხელით ცემას. ამ დარიგების შემდეგ „დამნაშავენი" პოლიციაში წაუყვანია. გზაზე ისე ძლიერ სცემდა თურმე ებრაელს მუშტებსა, რომ იგი წაქცეულა. მაშინ წესიერების დამცველი ფეხით შესდგომია. პოლიციაში ურიადნიკს მოუთხოვნია ლუდი და რამდენ ჭიქასაც დალევდა, იმდენ სილას გაარტყამდა თავის მსხვერპლებს...

უფრო საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ეს პირველი გმირობა არა ყოფილა ურიადნიკისა. თითქმის ყოველთვის „წესიერებას ასე აღადგენდა" ხოლმე. შეიძლება ჯილდოებიც მოსდიოდა. რა თქმა უნდა, ასეთი ამბები ყველგანა ხდება, მაგრამ სხვაგან საზოგადოება და პრესა დროით იგებს და დამნაშავე ისჯება...

—

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ ბოლო დროს, ახალ მინისტრის განკარგულებით, ბევრი პოლიტიკური დამნაშავე დააბრუნეს არხანგელსკისა და სხვა ცივ გუბერნიებიდან. ბევრი დააბრუნეს, მაგრამ უფრო ბევრი იქ დარჩა. როგორც ეხლა გამოირკვა, დიდძალი პოლიტიკური დამნაშავე ყოფილა გაგზავნილი ირკუტსკის გუბერნიის იაკუტსკის ოლქში. ეს ოლქი თითქმის ტუნდრებშია და იმაზე ჩრდილოეთით ცხოვრება აღარ შეიძლება.

ეხლახან იაკუტსკიდან დაბრუნდა ნაფიცი ვექილი გ. ბერენშტამი, რომელიც პოლიტიკურ პროცესში იღებდა მონაწილეობას და იცავდა რამდენსამე ბრალდებულს. ბ-ნმა ბერენშტამმა „პრავო"-ში დაბეჭდა წერილი პოლიტიკურ დამნაშავეთა ყოფა-ცხოვრების შესახებ იაკუტსკის ოლქში. წერილი გადაბეჭდა სატახტო ქალაქებისა და პროვინციის თითქმის ყველა გაზეთმა და, სხვათა შორის, „პეტ. ვედ."-მ, „ნოვ. ვრ."-მ, „რუს"-მა, „რუს. ვედ."-მ და მრავალმა სხვამ.

უწინ, ესე იგი, ამ ორი-სამი წლის წინად,—სწერს ავტორი,—დამნაშავეებს ცოტად თუ ბევრად შეღავათი ჰქონდათ. შეეძლოთ, მაგალითად, ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლა, ნაცნობთა ნახვა. ამისთვის საკმაო იყო ექიმის მოწმობა ან სამუშაოს უშოვრობა იქ, სადაც სცხოვრობდა. ყოველ შემთხვევაში, თუ დამნაშავე თავის ნებით წავიდოდა საცხოვრებელ ადგილიდან, მაგალითად, ექიმთან ან სურსათზე ან კიდევ ამხანაგთან დარდის გასაქარწყლებლად, სასჯელი დიდი არ მოელოდა. ბევრი-ბევრი ორი-სამი დღით დაამწყვდიათ ან ერთი მანეთი ჯარიმა დაადეთ. შეიძლებოდა აგრეთვე ახლად გადმოსახლებულთა ნახვა გზად გავლის დროს, რა თქმა უნდა, ამათ თუ იმ მოხელის თანადასწრებით. მაგრამ ასეთ-

არა ჰქონდა, და ამ ადგილების მოიჯარადრეთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე-კი არ იფიქროს. ქალაქი ზნეობრივად ვალდებულია, რომ ამ ადგილების შემოსავლის ნახევარი, პირველ ხანებში მაინც, ქუჩების გაკეთებასა და განათებას მოახმაროს. ამით ის, არამც თუ რასმე წააგებს, პირიქით, ბევრსაც მოიგებს. როდესაც ხალხი დაინახავს, ქალაქი ქუჩებს გვიკეთებს და გვინათებსო, მაშინვე მიაწყდება ახალ სამოსახლოებს და იქ დასახლდება. ამით-კი—ერთი რომ—გაუცემელ ადგილების ფასი მალე ერთი-ორად იმატებს, მეორე—ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი იმატებს, რის გამო იმატებს სახლების დასაფასებელი გადასახადიც. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ ქალაქის სრულიად ახალ ნაწილის შექმნა და დასახლება ხელს მოუწყობს ქალაქის ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის გაძლიერებას. ამ ჟამად ძლიერ კარგი იქმნება, რომ ქალაქმა თხრილი შემოავლოს საბაღედ დატოვებულ ადგილს (ამ ადგილის სივრცე აქვს ქცევა-ნახევარზე ცოტათი მეტიც), შემოაკავოს ეკლიანი მავთულით და დაგეგმოს ბაღის გასაშენებლად; ერთის სიტყვით—მხოლოდ აჩვენოს ხალხს, რომ ქალაქი უყურადღებოდ არ სტოვებს ახალ გაცემულ ადგილებს, და ამით წაახალისოს დასასახლებლად. მომავალ წლისათვის კი აუცილებლად საჭიროა შეტანილ იქმნეს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაში საბაღე ადგილის გარშემო ქუჩების გასაკეთებელი და თვით ბაღის გასაშენებელი ხარჯი. შემდეგაც ყოველ წლიურად უნდა გადაიდოს ფული ქუჩების თანდა-თანობით გასაკეთებლად და გასანათებლად. გარდა ამისა, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქალაქმა დაიქირაოს ერთი კაცი, რომელსაც უნდა დაევალოს თვალ-ყურის დევნება. ამასთან ძლიერ კარგი იქმნებოდა, რომ მიწაში ჩასობილ სარების თავზე წითელი საღებავით აღნიშნულიყო სამოსახლების ნომრები, რომ მოიჯარადრეთ შესძლებოდათ იჯარით აღებულ ადგილის მოძებნა. ამ ნომრების დასმა იმ მიწის მზომლის საქმე იყო, რომელმაც აგარაკი დაჰყო სამოსახლოებად, მაგრამ მას არ გაუკეთებია და ეხლა ქალაქმა უნდა იზრუნოს ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ ამას სულ ცოტა შრომა და ხარჯი დასჭირდება. ხშირად საჯარო ვაჭრობა ადგილების გასაცემად ხდება ქალაქის გამგეობის დარბაზში აგარაკის გეგმისა და მაზედ აღნიშნულ ნომრების მიხედვით, ადგილობრივ კი მოიჯარადრემ არ იცის ადგილის მდებარეობა და იძულებულია ამის გასაგებად ადგილის იჯარით აღების შემდეგ ქალაქის ტეხნიკოსი წაიყვანოს ეტლით თავის ხარჯით, რაც ღარიბ ხალხისთვის საკმაოდ საძნელოა. ქალაქმა კი ამ საქმისათვის ერთი და ორი თუმანი რომ დახარჯოს, დიდი არაფერი დააკლდება.

✦ 22 ნოემბერს ქალაქის სამოსწავლო კომისიაში ბ-ნ ნ. ვ. მესხმა წინადადება შეიტანა, რომ მისდამი რწმუნებულ სკოლის მოსწავლეებს (ქალაქის მესამე სკოლა) საჭმო და სამკურნალო დახმარება აღმოსჩენოდა ქალაქის მხრივ. წინადადება სიამოვნებით იქნა მიღებული და ექიმმა გ. ლ. ქორქაშვილმა თავის თავზე მიიღო ეს შრომა, ხოლო გამგეობის წევრი გრ. გველესიანი იშუამდგომლებს, რომ მოსწავლეებს ექიმის წამალი უფასოდ დაეთმოს ქალაქის აფთიაქიდან. ამავე დღეს სამოსწავლო კომისიამ დაადგინა, ამავე სკოლის 61 ულარიბეს მოსწავლეებს დაურიგდეს საზამთრო თბილი ტანისამოსი.

პატარა ფელეტონი

სასამართლოს რეფორმის იუბილეს გამო.

20 ნოემბერს შესრულდა ორმოცი წელიწადი მას შემდეგ, რაც რუსეთში სასამართლოს დიდი რეფორმა მოხდა (1864 წ., 20 ნოემბერი). რუსული გაზეთები მადლობის გრძნობით იგონებენ იმ დროს და დიდ ქება-დიდებას უძღვნიან ამ რეფორმას მოღვაწეთ. არც გასაკვირველია რუსულ პრესის ასეთი ქცევა. როგორი იყო ძველი სასამართლო?

„ძველი სასამართლო იყო აუცილებელი კუთვნილება „იმ ძველ კეთილ დროისა, როცა ბატონყმობა არსებობდა". სასამართლო ბევრი იყო, სიმართლე-კი სულ არა. ვაჭრობა ძალიან სასტიკად იყო განვითარებული; მართლმსაჯულებით-კი ყველგან ვაჭრობდნენ. თვითონ იუსტიციის მინისტრსაც ვერ წარმოედგინა, რომ მოხელენი ვალდებული არიან უქრთამოდ რამე გააკეთონ".

და ერთბაშად, ერთის საკანონმდებლო აქტით, შეიცვალა ეს საზარელი წესი.

არიან ერთგვარი „პროგრესისტები"; ამათი შეხედულებით, ერთბაშად შემოღება რომელიმე სერიოზულ რეფორმისა დიდათ მავნებელია ხალხისათვის: რეფორმა თან-და-თან, პატარა პორციობით უნდა შემოვიღოთ, თორემ ძველ წესს შეჩვეული ხალხი უფრო დაიტანჯება და გაწვალდება. ეს ფილოსოფია „თანდათანელობისა" დამყარებულია დახავსებულ შეხედულებაზე, რომ „შეჩვეული ჭირი სჯობს შეუჩვეველ ლხინსა". რუსეთის სასამართლოს რეფორმა 1864 წლის ერთი საუკეთესო საბუთთაგანია ამ შეხედულების სიყალბისა; ამ საბუთიდან ცხადათ სჩანს, რომ კარგ დაწესებულებას ხალხი ადვილად ეჩვევა, რაც არ უნდა ახალი იყოს იგი ძველთან შედარებით.

მოისპო ძველი სასამართლო და დაარსდა ახალი: სასამართლო გამოეყო სრულიად ადმინისტრაციას, სამართალი საჯარო და ზეპირი გახდა, ბრალდებულს დაცვის უფლება მიეცა, დაარსდა ადვოკატების ინსტიტუტი, სასამართლოში ადგილი მიეცა ნაფიც მსაჯულებს, ე. ი. ხალხის წარმომადგენელნი გახდნენ განმსჯელნი თავისიანებისა; მოურიგებელი მოსამართლე ამოსარჩევი და დამოუკიდებელი გახდა და სხვა. მართალია შემდეგში აქა-იქ შეაკვეცეს ეს დიდი რეფორმა, ბევრი კარგი მხარე ჩამოართვეს, მაგრამ მაინც დიდი საქმეა დღესაც რუსებისათვის ეს შეკვეცილი ახალი სასამართლო. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის.

ჩვენშიაც შემოიღეს ეს სასამართლო და ეს დიდი გაუმჯობესება იყო აქ არსებულ სასამართლო წესისა, მაგრამ ამ რეფორმას ჩვენში იმის მეათედი მნიშვნელობაც არ ჰქონებია, რაც რუსეთში; ჯერ ერთი ისა, რომ სასამართლოს წესი ჩვენში ნამეტანი შეკვეცილი შემოიღეს—ნაფიცი მსაჯულები არა გვყავანან და ამ გარემოებას უფრო ცუდი შედეგი აქვს ჩვენთვის, ვიდრე მას რუსეთში ექნებოდა, რადგან ჩვენი მოსამართლენი სულ უცხო პირები არიან, ადგილობრივ პირობების და ხალხის ხასიათის არ მცოდნენი; ამიტომ ჩვენში უფრო საჭირო იყო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომ ეს არა სასურველი მოვლენა არ გამხდარიყო ნამდვილ „სამართლის ქმნის" შემაფერხებელი გარემოება.

მეორე დიდი ნაკლი ახალ სამართლის შემოღებისა ჩვენში ის არის, რომ სამართალი ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სწარმოებს. ელემენტარული აუცილებელი პირობა ნამდვილ სამართლისა, რომელსაც მხოლოდ სიმართლე უნდა ჰქონდეს სახეში, ის არის, რომ მოსამართლეს და განსასამართლებელს ერთი მეორის ესმოდეთ. თუ ეს არ არის, თუ მოსამართლე თარჯიმანს საჭიროებს, რომ მომჩივან-მოპასუხეს სიტყვა-პასუხი გაიგოს, იქ სასამართლო მიზანს ვერ მიაღწევს.

W.

პრესსა

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რომ იაფ-ფასიან და უფასო სახალხო სამკითხველოებში მხოლოდ იმისთანა წიგნებია, რომელიც საგანგებო კომიტეტისაგან არის მოწონებული; ამისთანა წიგნების რიცხვი-კი ცოტაა და რომელიც არის, მეტ წილად რელიგიურ ზნეობრივ შინაარსისაა. ამიტომაც წინადაც და ეხლაც ბევრსა სცდილან ეს წესი შეეცვალათ, მაგრამ აქამდე ვერას გამხდარან.

„რუსკია ვედომოსტი"-ს თანამშრომელს ჰქონია ლაპარაკი ხსენებულ კომიტეტის ერთ წევრთან და აი რას გვეუბნება ამ საუბრის გამო:

> კომიტეტის ამ წევრს ჩვენ ვუმტკიცებთ საზოგადოთ პროგრესისა და კერძოთ რუსეთის პროგრესის უცილებლობას. „მართალია, მაგრამ ხანდახან პროცესის დაგვიანებაც არის საჭირო"-ო, უპასუხნია კომიტეტის წევრს. ეხლა, მგონი, ამისთანა პასუხს ველარ გავიგონებთ. მაგრამ ჩვენ გველაპარაკნია ისეთ პირებთანაც, რომელნიც არ არიან მომხრენი „დაგვიანების" თეორიისა და ესენიც კი ჰპოულობენ არგუმენტებს არსებულ წესის სასარგებლოდ. საფუძველი ასეთ შეხედულებისა, რასაკვირველია, ის არის, რომ გლეხს ბავშვად სთვლიან. შიშობენ, რომ გლეხამდე ცუდის თვისების წიგნები მივა და ამ გარემოებამ შეიძლება მატერიალურადაც კი დაახარალოს იგიო. გლეხი წაიკითხავს ცუდ აგრონომიულ წიგნს და მთელ თავის მეურნეობას არევ-დარევსო! თუ ასეთის შეხედულობით ვიხელმძღვანელეთ, მაშინ ამ გვარი წიგნები სრულიად არ უნდა დაიბეჭდოს; მაგრამ ასეთ დასკვნამდე ჩვენი ცენზურაც კი არ მისულა. დიდი-დიდი რაც უნდა მოჰყვეს ამ რეფორმას, ის იქნება, რომ დაირღვევა გლეხების წრეში გულუბრყვილო—პირვანდელი რწმუნება წიგნისადმი, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებ პროგრესის დაგვიანების თეორიის მომხრეთ უნდა ეწყინოს და მეორეც—ადრე თუ გვიან, ხომ უნდა მოხდეს.

⁂

არც ისე გულუბრყვილო-პირვანდელია დღეს გლეხი რუსეთში, როგორც ბევრსა ჰგონია. მართალია, იგი დაბეჩავებული და უვიცია, მისი ცხოვრება მწარე და სიბნელით მოცულია, მძიმე უღელს ატარებს და მოთმინება მისი საარაკო გამხდარა, მაგრამ ცოდნის და სწავლის ფასი მასაც-კი შეუგნია.

გაზეთ „ნოვოსტი"-ს 320 ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი, სათაურით—„სურს თუ არა გლეხს ისწავლოს". რუსეთში რამდენიმე სამაზრო ერობაა, სადაც უმრავლესობას გლეხების წარმომადგენლები შეადგენენ, რადგან სხვა წოდების ხალხი იქ თითქმის სულ არ არიან. და ოფიციალური ანგარიშები

> გვიჩვენებენ, რომ იმ დროს, როცა სამაზრო ერობანი თავიანთ ბიუჯეტის 28,7 პროცენტს ხარჯავენ სახალხო განათლებაზე, საგლეხო მაზრები იძლევიან ამავე საქმეზე მთელ ხარჯის მესამედზე მეტს. 1895—1900 წლამდე სახალხო განათლებაზე გადადებული ფული საგლეხო მაზრებში გაიზარდა 78,5 პროცენტით...
>
> ფაქტიურად იმ მაზრებსა და გუბერნიებში, სადაც საერობო კრებაში მხოლოდ გლეხები იღებენ მონაწილეობას ან იქ, სადაც გლეხები უმრავლესობას შეადგენენ, როგორც, მაგალითად, ვოლოგდის, ვიატკის, ოლონეცკის და პერმის გუბერნიებში, სახალხო განათლება და წერა-კითხვის ცოდნა ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა ადგილებში, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი ტორმოზი აქვს ამ საქმეს ურიცხვ ადმინისტრატიულ შევიწროებათა სახით.

მართლა მეტად საყურადღებო მოვლენა აღნიშნა რუსულმა გაზეთმა და სრულის უფლებით შეუძლია სთქვას, რომ

> თუ განათლებით დაბლად მდგომი გლეხი ასეთ სასიხარულო ინტერესს იჩენს სწავლისადმი, რამდენად უნდა გაიზარდოს ეს ინტერესი, როცა საგლეხო ერობა შემდგარი იქნება არა მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნეთაგან, არამედ ცოტად თუ ბევრად განათლებულთაგან. ეხლაც თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ რუსის გლეხს იქ, სადაც შეძლება აქვს გამოსთქვას და განახორციელოს თავისი აზრი და სურვილი, სურს ისწავლოს, რადგან შეგნებული აქვს სწავლის სარგებლობაც და აუცილებლობაც.

თეატრი

ქართული დრამა. („მეუღლენი", სუნდუკიანცისა და „ბენეფისის წინ", უმიკაშვილისა. 24 ნოემბერი).

პირველ პიესის შინაარსი გუშინ გვქონდა უკვე მოყვანილი და დღეს აღარ გავიმეორებთ.

არ ვიცი, როდის დაუწერია პატივცემულ სუნდუკიანცს ეს კომედია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სხვა ცნობილ მის პიესებზე ბევრად სუსტია, და ეს იმით უნდა აიხსნას, რომ ავტორი აქ ასცდენია თავის ნამდვილ საგანს—ზნე ჩვეულების დრამა-კომედიას. ფსიხოლოგიური ანალიზი, წინადვე აღებულ იდეის გატარება მთელ პიესაში სულ სხვაა და ნამდვილ ცხოვრებიდან ცოცხალ სურათების ამოღება სხვა. ეგრედ წოდებულ pièce à thèse'ს დიდი დახელოვნება და ტეხნიკა ეჭირვება და ამიტომაც არის, რომ აქ, სადაც დიუმა—შვილი და მისნი გამარჯვებული გამოდიან ასპარეზიდან, ჩვენი სუნდუკიანცი მეტად გაჭიანურებულ, მოსაწყენ დიალოგებს გვაწერს.

საგანი პიესისა ძველის-ძველია—ქმრის უფლების უსაზღვრობა და უბედურ ცოლის აუტანელი მდგომარეობა: რაც არ უნდა მართალი იყოს ცოლი, უფლება-მოსილი ქმარი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის ბრძოლიდან. ამ თემას, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა, დღესაც იმავ უსამართლობას ვხედავთ; მაგრამ საზოგადოება რომ დაინტერესდეს იმითი, ორიგინალი ფორმა და სიტყვიერება საჭირო და სუნდუკიანცის პიესა კი სულ ჩვეულებრივ შაბლონსაც კი ვერ გასცილებია.

ამიტომაც მოხდა, რომ მთელი ცდა ჩვენის არტისტებისა ამაო იყო—უსიცოცხლო, უსულგულო კომედია ვერ გამოაცოცხლეს და მაყურებელი საზოგადოება თავჩაქინდრული და მოწყენილი იჯდა. სათეატრო დარბაზში, განსაკუთრებით უკანასკნელ ორ მოქმედების დროს.

საკვირველია, რად აირჩია ასეთი პიესა გ. აბაშიძემ თავის საბენეფისოდ! მით უფრო საკვირველია, რომ მობენეფისეს აქ მეორე-ხარისხოვანი როლი ჰქონდა. ბენეფისი დღესასწაულია როგორც არტისტის, ისე მის პატივისმცემელ საზოგადოებისა; ეს ბენეფისი კი მოწყენის მეტი არაფერი იყო. გ. აბაშიძე და მოწყენა? მაგრამ ჩვენში ყველაფერი უკუღმაა. არტისტების თამაშის განხილვას არ შევუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ შრომა არ დაუკლიათ, როლები კარგად შეესწავლიათ და ცოცხლად თამაშს სცდილობდნენ, მაგრამ, როგორც ვსთქვით, თუ მიზანს ვერ მიაღწიეს, ეს მათი ბრალი არ არის.

მოუთმენლად ველოდით ზ. უმიკაშვილის სცენებს—გვარწმუნებდნენ, ძალიან მხიარული და სასაცილო რამ არისო. მაგრამ, როგორც საფიქრებელიც იყო, ესეც ერთი გაჭიანურებული, ოხუნჯობასა და სიმკვირცხლეს სრულიად მოკლებული პიესა გამოდგა. ერთად ერთი ცოცხალი სცენა ის იყო, სადაც ჩვენი თოფ-ლეკურა „ბრწყინვალე" ახალგაზრდობა გნახეთ—შათირიშვილი თავის ქარქაში იყო და სინამდვილით გვიჩვენა ამ წრის „მამულიშვილობის" სიგრძე-სიგანე: ჭიბე-ცილიერობიდან—ერთი ბოთლი ღვინის ფასამდე.

კარგი იყო ქართველი თავადი გენერალი, (შალიკაშვილი) რომელმაც არც კი იცის ქართული თეატრი თუ არსებობს, თავი მსოფლიოს ბურჯად მიაჩნია და უბრალო მამაკაცს ორ თითს თუ გაუწვდის ხელის ჩამოსართმევად.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი ახირებულობა უკანასკნელ პიესის დადგმისა: გოლოვინის პროსპექტი უნდა ყოფილიყო „პურ-დვინის" წინ და ნამდვილად კი საშუალო საუკუნოების შენობა-ქუჩები გვიჩვენეს. ნუ თუ ძნელი იყო სულ უბრალო თანამედროვე ქუჩის მოწყობა?

ი.

რუსეთის ქრონიკა

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა გუბერნატორებს, რომ, რადგან ომიანობის მიზეზით დიდი ხარჯები აქვს სახელმწიფოს, 1905 წლის განმავლობაში აღარ უნდა ითხოვონ მომეტებული კრედიტი საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულებათა სადგომებისათვის. საზოგადოთ გადებულ კრედიტის დახარჯვის დროს დიდი ყაირათიანობა უნდა დაიჭირონ; განსაკუთრებით უნდა შემოკლდეს ხარჯები ისეთ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, როგორც, მაგალითად, სამსახურის საქმეებისათვის წასვლა-წამოსვლაა: ასეთი ხარჯის გაღება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა ეს მართლა საჭირო არისო.

გაზეთ „რუს"-ს მოჰყავს ეს ადგილი სამინისტროს ქაღალდიდან და თავის მხრივ უმატებს; „ცირკულიარის უკანასკნელი სიტყვები მეტად დამახასიათებელი არიანო".

✦ როგორც ისმის, შინაგან საქმეთა სამინისტროში იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა მონაწილეობით სულ მოკლე ხანში უნდა შეუდგნენ ადმინისტრატიულ წესით გადასახლების წესდების გადასინჯვას. („რ. ვ.").

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღძრეს პეტერბურგის პრივატ-დოცენტის გოლდშტეინის დაბრუნების შესახებ ქ. არხანგელსკიდან, სადაც იგი გაგზავნეს ფონ პლევეს დროს მაგრამ რადგან გოლდშტეინი გაგზავნილი ყოფილა არა პლევეს უფლების ძალით, არამედ საგანგებო განკარგულებით, ეს შუამდგომლობა ჯერ დაუკმაყოფილებელი დარჩა. („რ. ვ.").

✦ 19 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, ტენიშევის სასწავლებელთან (პეტერბურგში), სადაც უნდა წაეკითხა არსენიევს თავისი მოხსენება ბეჭდვით კანონ-მდებლობაზე, რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა. თვითონ ზალა გაჭედილი იყო და იქ შესვლა აღარ შეიძლებოდა... სხდომა დიდხანს ვერ დაიწყეს. კრების თავმჯდომარემ რამდენჯერმე მიმართა გარეთ დარჩენილ ხალხს დასამშვიდებლად და შეპირდა, რომ სხდომა განმეორდებაო. როგორც იქნა, შეუდგნენ საქმეს და არსენიევმა წაიკითხა თავისი მოხსენება. შემდეგ პროფესორ სპიზნიკოვმა დაიწყო კითხვა. ამ დროს ზალაში შემოვიდა სასწავლებლის დირექტორი ოსტროგორსკი და რაღაც უთხრა თავმჯდომარეს. თავმჯდომარემ გამოუცხადა კრებას, რომ რადგან ქუჩაზე დარჩენილ ხალხის მდგომარეობა მწვავდება, იძულებული ვარ კრება დავხურო. თავმჯდომარის ამ განცხადებამდე ზალაში შემოვიდა პეტერბურგის გრადონაჩალნიკი ფულონი, რომელიც სკოლის დირექტორთან ერთად ამშვიდებდა საზოგადოებას. კრების დახურვა რომ გამოცხადდა, დაიწყეს ყვირილი—„განაგრძეთ სხდომა"! „დახურეთ სხდომა"-ო! კრება დახურეს და საზოგადოებაც მშვიდობიანად დაიშალა. ქუჩაზე ბევრი იყო პოლიციელი, მაგრამ შეტაკება არავითარი არ მომხდარა. („რ. ვ").

წერილები

სოფ. ლიხაური (გურია). საითაც გავიქეცით, ყოველ გზით წავიქეცით, ჩვენზე ითქმის. როგორც იქნა, დიდის წვალებით ყანებს მოვუარეთ და ყურძენიც მოვკრიფეთ. ეხლა ქარ-ბუქი დაიწყო და შეიძლება თოვლიც გვესტუმროს და მუშა კაცი გულზე ხელ დაკრეფილი უყურებს გამოდარებას, მაგრამ არ იცის საით წავიდეს სამუშაოდ. ჩვენში უმეტესი ნაწილი ზამთრის განმავლობაში ტყეში მუშაობდა და მით არჩენდა ცოლშვილს და გადასახადებსაც იმით ასწორებდა. ეხლა ტყე დაშორდა, გადიკაფა და ბაჟი მომატებულია. რამდენსამე კაცს არყის ქარხანა ჰქონდა. მაგრამ რაც აქციზი დაედო, მოგება აღარ იყო, ზარალობდნენ და წელს იმასაც მიანებეს თავი.

ნიაბაურელი

კავკავი. კავკავში თავი მოიკლა ერთმა ყმაწვილმა ოსმა მუსე სიკოევმა. საქმე ასე იყო: შეძლებულ მუსეს, სამი ამხანაგი მიეყვანა შინ ღამე ვახშმად. დედას ვახშმად არა მოემზადებინა რა და შვილს შელაპარაკებოდა უდროო-უდროო სტუმრების მოყვანაზედ. სტუმრებს ეს შეენიშნათ და წასულიყვნენ, მუსე გამოსულიყო მეორე ოთახიდან და, როგორც თავ-მომწონე ყმაწვილს, ძლიერ სწყენოდა სტუმრების უპატივცემლოდ წასვლა და სასირცხოდ მიეჩნია. გაჯავრებულ მუსეს ჩაეკეტნა თავისი ოთახი, ცოლი გარედ გამოესტუმრებინა, დაეცა ტყვია გულში და თავი მოეკლა.

ქართველი ოსეთში.

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). როგორც „ცნობის-ფურცლის" მე-2669 №-ში ვსწერდით, ოცდა ოთხს ოქტომბერს ღამე აქაურმა დარაჯმა, მილიციის ერთმა ქისტმა დასჭრა თოფის ტყვიით ერთი ქურდი ქისტი. აი, ამ ქისტის ოცს ამთვეს ღამე, როცა ჯაირახიდან ლარსში მოდიოდა, გზას იქიდან ესროლეს თოფი და ბარძაყში დასჭრეს. იმავე ღამეს ჯაირახიდან ოფიცერი ყუბადიევი და ბალთის მამასახლისი შეუდგნენ ავაზაკის კვალის ძებნას, მაგრამ ვერ იპოვნეს. ამბობენ, დაჭრილის ნათესავებმა გადაუხადეს დარაჯს სამაგიეროო.

ამთვის ათიდან დაწყებული თვრამეტამდის საშინელი ქარი ჰქროდა. ქარმა ბევრი თივა დაზიანა მთიბში. თვრამეტიდან ოცამდინ გამუდმებით თოვდა. თხუთმეტიდან ოცდა ერთამდის შეკრული იყო კობიდან მლეთემდის მთა. ბევრი ფურგუნი და ურემია მომწყვდეული ლარსში.

ლარსელი

კახეთი. არა ერთხელ ამოგვიკითხნია გაზეთებში, რომ გაძვირდა ყველა სანოვაგეო. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს სიძვირე ყველაფერისა ერთი ორად გაორკეცდა არამც თუ ქალაქად, სოფლადაც-კი. მარტო სანოვაგის გაძვირებას ვინ ჩივოდა, თუ ზედ მეორე უბედურებაც არ დამატებოდა და საქონლის საკვებიც მამასისხლად არ გამხდარიყო. განუწყვეტელ უამინდობამ მოაცდინა ჭირნახული ყველგან. როგორც თავთავს არა ჰქონდა გამოსავალი, აგრეთვე უბარაქო იყო ნალეწიც. საშუალო მოსავლიან წელიწადს დღიურს გამოდის ოცდა ათი კოდი და ბზეც შესაფერისად კარგია, წელს დღიურს გამოდიოდა ექვსი—შვიდი კოდი და ბზეც თითქმის მესამედი არა დგებოდა იმისა, რაც უნდა გამოსულიყო. ამიტომაც არის გასაკვირველი, თუ ამ ჟამად კოდი პური ფასობს ოთხ მანეთად და ტომარა ბზე ათ შაურად, როდესაც საშუალო მოსავლიან წელიწადში კოდი პური ღირს ორ მანეთად ან თორმეტ აბაზად და ტომარა ბზე სამ შაურად. თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამად კახეთი, ამას მკითხველი ზემოხსენებულ ფასებიდან გაიგებს. რაღა გავაგრძელოთ ლაპარაკი სანოვაგეზედ, როდესაც სოფლადაც კი უკანასკნელი კვერცხი შაურად ორი იყიდება.

შემოდგომის ქორწილებს და სიხარულებს ბევრი უბედურებაც მოსდევს ხოლმე. თუ ხან ხანჯალი და კეტი ასალმებთ მოქეიფეთ, ხან კიდევ წითელი ნუნუასაგან გაციებულ ფილტვების ანთება იპყრობს ერთისას და მეორის ადგილსაც ხოლმე.

ქურდ-ბაცაცების დასჯა ვარდისუბანშიაც დაიწყეს. ამ დასჯამ ისე იმოქმედა, რომ მას აქეთ თითქმის ორი თვე გადის და ნემსის დანაფასევიც კი აღარა დაკარგულა. იქნება ახლა კი მალამოდ დაედვას რამე ჩვენ ქურდ ბაცაცებს? ამ თვის ოცში მოვიდა თოვლი. ერთი დღე და ღამე თოვდა. მართალია, ფეხი ვერ მოიკიდა, რადგან ქვეშ სველი მოჰყვა, მაგრამ შესამჩნევად კი აცივდა.

ცივის-კალთელი.

ავტორთა საყურადღებოდ

1904 წელს, ივნისის შვიდს ქ. ტფილისში დაარსდა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა „სხივი", რომელსაც საგნად აქვს ბეჭდოს ქართული სახალხო და საყმაწვილო წიგნები მეცნიერების ყველა დარგის და სიტყვიერებისა.

ამხანაგობა დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალ 1905 წლის თებერვლიდან.

ამხანაგობის დამფუძნებელმა წევრებმა ამოირჩიეს დროებითი სარედაქციო კომისია, რომელსაც დაავალეს მომზადოს შესაფერი მასალა გამოსაცემად.

ამხანაგობას ჯერ-ჯერობით აზრად აქვს გამოსცეს შემდეგი დარგის ორიგინალური და ნათარგმნი თხზულებანი: საქმიო, სამეურნეო, ისტორიული და პოლიტიკურ-ეკონომიური.

ხსენებული დროებითი რედაქცია სთხოვს ბ.ბ. ავტორებს მიაწოდონ თავიანთი თხზულებანი გასასინჯად და გამოსაცემად.

მა „ბედნიერმა" ცხოვრებამ გასტანა მხოლოდ 1903 წლამდე. ამ დროიდან სრულიად იცვლება პოლიტიკურ დამნაშავეთა ბედი.

1903 წელს შემოდგომაზე გადასახლებულთ გამოუცხადეს ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის ცირკულიარი. ამ ცირკულიარით აიკრძალა საცხოვრებელ ადგილიდან სადმე წასვლა. დამნაშავეს ცუდი სასჯელი მოელოდა: გადასახლება სულ ჩრდილოეთ ადგილებში—კალიმსკისა და ვერხოიანსკის ოლქებში. ამასთან აღარ იწყნარებდნენ გადასახლებულთა თხოვნებს სასწრაფოდ ან სხვა საქმისთვის ერთი ადგილიდან მეორეში წასვლის შესახებ. აი, რა მიამბო,—განაგრძობს ბ-ნი ბერენშტამი,—ერთმა დასჯილმა: „დღემდე ვერ გამიგია, როგორ გავძელ მთელ ზამთარს სრულიად მოუწყობელ ქოხში... დილით, ვიდრე ავდგებოდი ბუხრის გასახურებლად, სიცივისაგან კბილებს ძალზე ვაწკაწკებდი. იმ დროს 50 გრადუსის ყინვები იდგა. მთელი თვეები ამ ყოფაში ვიყავ... ქაღალდი შევიტანე, ვთხოულობდი ნება მოეცათ ორის კვირით ჩურანჩუს წავსულიყავ. ჩურანჩუ იაკუტსკის ჩრდილოეთით მდებარეობს 150 ვერსის მანძილზე. მინდოდა, ცოტა ხნით მაინც მოვშორებოდი ძველ ბინას... მაგრამ უარი მომივიდა. არას ვიტყვი მარტოობაზე, რომელიც კაცს ჭკუაზე შეშლის, საჭირო იყო ქალაქში წასვლა, რომ შიმშილისაგან არ მომკვდარიყავ. აი, ამის გამო ხშირად, როგორც ქურდები, დავიპარებოდით და ჩუმად ვეძებდით საჭმელს"...

ყველაზე ძნელი საცხოვრებელი ადგილი ვერხოიანსკია. გეოგრაფიის სახელმძღვანელოებიდან ვერ გაიგებთ, რა საზარელი ადგილია ვერხოიანსკი. დედამიწაზე, სადაც-კი ხალხი სცხოვრობს, ისეთი სიცივე არსად არ იცის, როგორც იქ. ზამთარში ყინვები 68 გრადუსამდე ადის. ზამთარშივე მთელი თვე ნახევარი განუწყვეტელი ღამეა. შავი პური ერთი ფუთი 16 მანეთად ფასობს. ფოსტა ერთად-ერთის გზით მოდის და უნდება გზაში 3—4 თვეს... ტელეგრაფი არ არის, როდესაც წერილის პასუხს მოელის, არაფერი არ გესმის, გაგიწყდება, რაშია საქმე."

როგორც ვწერდით, ბოლო დროს სასტიკად აიკრძალა სხვაგან სადმე წასვლა ან ვინმეს ნახვა ასეთ „დანაშაულობისთვის" მეტად სასტიკი სასჯელი იყო. აი, რა უამბნია ბ-ნ ბერენშტამისთვის მეორე დასჯილს: „ციმბირში ხუთი წელიწადი დავრჩი სასჯელის მოსახდელად ცოლიანი ვარ. სამშობლოში შვილები მყავანან. ამ ხუთი წლის განმავლობაში, უთუოდ, წამოიზარდნენ... წარმოიდგინეთ, ნება არ მომცეს, აქ მომეყვანა ჩემი ცოლშვილი... დიდ... გადმოსახლების ვადა მოთავდებოდა.. ბოლო დროს საშინლად ვიტანჯებოდი, მოუსვენრად ვიყავ, ღამე არ მეძინა. მოუთმენლად, გულის ფანცქალით მოველოდი ვადის გათავების დღეს. ვეღარ მოვითმინე, ერთი კვირით ადრე ნება დაურთველად ოლქის გამგეობაში წავედი და ვთხოვე, ქაღალდები დამეხადებინათ. მოხელემ ბევრი ქექა ქაღალდები ბოლოს თავი მაღლა აიღო და მითხრა:

— თქვენ სამშობლოში ვერ დაბრუნდებით... ცოტა რამ წაგიმატეს და ისევ აქ უნდა დარჩეთ.

— რამდენი წამიმატეს?—ვკითხე.

— ხუთი წელიწადი...

ელდა მეცა, მუხლები ჩამეკეცა, ყელში სისხლი მომაწვა. სული მოვითქვი და დასუსტებულის ხმით ვკითხე:

— რად მომიმატეს...

— ნება დაურთველად სხვაგან წასულხართ.

— ერთი-ორჯელ ვიყავ მხოლოდ პურის საყიდლად... მშიერი ხომ არ მოვკვდებოდი.

ქაღალდს დაუწყო ხელ ახლა ჩხრეკა, მაგრამ არავითარი განმარტება იქ არ აღმოჩნდა. ნათქვამი იყო მხოლოდ, რომ სასჯელი მომემატა, ამასთან უნდა გადავესახლებულიყავ ვერხოიანსკს"...

ასე დაისაჯა ცოლშვილის პატრონი.

რედაქცია სთხოვს ავტორებს ნაწარმოებთან ერთად აცნობონ მას წერილით: რა პირობით სურთ დაუთმონ ამხანაგობას თავიანთი თხზულება.

ნაწარმოების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ალექსანდრე ივანეს ძე სარაჯიშვილს (ქ. ტფილისი, იზმაილოვის ქ. № 44).

ანუ: ალექსანდრე გრიგოლის ძე სოლოლაშვილს (ქ. ტფილისი, გოლოვინის პროსპ. № 12).

სარედაქციო კომისიის წევრნი: ალ. სარაჯიშვილი. ხ. ღლონტი, ს. გორგაძე, ალ. სოლოლაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

რედაქციას ემორჩილესად გთხოვ ეს ერთი თუმანი გადასცეს სალიტერატურო ფონდს, და ამის გარდა იმავ ფონდს ვჰპირდები ყოველ წლიწადს მთელს შემოსავალს ჩემის რუსულ წიგნებიდან, რომლებიც გაიყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

გ. თუმანოვი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ნოემბერი

ქანდოლოხანი, 24 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსის აღმოსავლეთ არმიის მთავარი სადგომი. რენენკამფის რაზმსა და იაპონელებ შუა მომხდარ შეტაკების შემდეგ ბრძოლა აღარ მომხდარა. რუსები განუწყვეტლივ ესვრიან იაპონელებს დიდ ზარბაზნებიდან, რომელნიც პუტილოვის გორაზე დაუდგამთ. ს. ლინშიპუში რამდენიმე ახალგაზრდა აფიცერი ყოველ ღამე არდგენენ მოხალისეთა რაზმებს, გაეპარებიან იაპონელებს და აფეთქებენ სახლებს, სადაც იაპონელები იმყოფებიან ან სხვა რამე ზარალს მიაყენებენ. რასაკვირველია, ღამის ეს ექსპედიციები ძალიან საშიშია, მაგრამ სამაგიეროდ მოსვენებას არ აძლევს იაპონელებს. იაპონელების ის რაზმი, რომელიც რენენკამფს შეებრძოლა, რიცხვით შესამჩნევად ნაკლები იყო რუსებზე. რუსის კავალერია ენერგიულად მისდევდა იაპონელებს, აილო ბევრი თოფი და დაატყვევა 100 კაცი, რომელნიც ცუდათ ჩაცმული იყვნენ და სიცივისაგან იტანჯებოდნენ. ეხლახან მომხდარ ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე ბევრი დაჭრილი, აგრეთვე ბევრი დაუმარხავი მოკლულები, რაც მათი ჩვეულების წინააღმდეგია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ სამხედრო მოქმედება გვიან განახლდეს. მდინარენი გაიყინა და ერთ კვირაზე შესაძლებელი გახდება, რომ ტრანსპორტები ხუნხეზე ჩუნხოს გზით ყინულზე გადაიტანონ.

ბრემენი. 24 ნოემბერი ნაგასაკიდან მოსულ დეპეშის თანახმად, იქ მისულა ბრემენის გემი, რომელზედაც გაგზავნილი იყო რუსეთიდან 800 იაპონელი.

ვაშინგტონი, 24 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). ადმირალი დევისი შეერთებულ შტატების წარმომადგენელი ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის საერთაშორისო კომისიაში ნიუიორკიდან წავა პარიზში 27 ნოემბერს.

ლონდონი, 25 ნოემბერი („რეიტ. საგ.“). ოფიციალურად იტყობინებიან, თუ ვინ დანიშნეს ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარ ინციდენტის გამო დანიშნულ კომისიაში: ვიცე-ადმირალი ლუის ბომონი დაინიშნა კომისიის წევრად ბრიტანიის მხრივ, ედუარდ ფრეი საპელაციო ასესორად, გიუგ ო'ბერნ ბრიტანიის აგენტად.

პეტერბურგი. ოფიციალურად. ტელეგრამა გენერალ-ლეიტენანტ სახაროვისა მთავარ-შტაბს 24 ნოემბერს. „24 ნოემბერს არ მოსულა მოხსენება სამხედრო შეტაკებებზე“.

მალაგა, 25 ნოემბერი („რეიტ. სააგ.“). რუსის კრეისერი „იზუმრუდი“ ნავთსადგურში შემოვიდა და ნახშირი დაიდო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

25 ნოემბერი

მუკდენი, 24 ნოემბერი. უფრო აცივდა ხუნხე და პახო ჯერ არ გაყინულან სავსებით. ვიწრო ლიანდაგიანი გზა იაპონელებისა შეკეთებულია სადგურ შახომდე. გუშინ დილით იაპონელებმა სროლა დაუწყეს პუტილოვის მთას. ჩვენმა ბატარეებმა პასუხი გასცეს. დღეს დილით სიწყნარეა.

ლონდონი, 25 ნოემბერი. გერმანიის გემი „ბენგალია“ ბარიდან ღამით წავიდა ბატავიისაკენ, დატვირთული ნახშირით, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, რუსის სამხედრო გემებისათვის არის დანიშნული. არის ნიშნები, რომ გემს დამოკიდებულება ჰქონდა რუსის კრეისერებთან წყნარ ოკეანეში.

ბერლინი, 24 ნოემბერი. „ლოკალ ანცაიგერ“-ს ატყობინებენ ტოკიოდან, რომ სასებოს საპრიზო სასამართლომ დაადგინა—კანონიერ პრიზად იცნონ გერმანელების გემი „ვეტერანი“, რომელიც პორტ-არტურთან დაიჭირეს საქონლით, და ეკიპაჟი კი განათავისუფლონ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

24 ნოემბერი

ბელგრადი, 24 ნოემბერი. გრუიჩმა შეადგინა კაბინეტი. მინისტრ-პრეზიდენტად თვითონ გრუიჩია, გარეშე საქმეთა მინისტრად—პაშიჩი, შინაგან საქმეთა—პროტიჩი, ფინანსთა—პაჩუ, საერთო განათლების—ნიკოლიჩი, სამხედრო—პუტნიკი და მიწათ-მოქმედების—რადოვანოვიჩი.

არხანგელსკი, 24 ნოემბერი. მუშები გაიგზავნენ ახალ საზამთრო გზის გასახსნელად არხანგელსკიდან მეზენამდე. სიგრძე ამ გზისა 251 ვერსია.

სტოკჰოლმი, 24 ნოემბერი. გარეშე საქმეთა მინისტრი ლაგერჰეიმი თანამდებობიდან გადადგა. იმისი თხოვნა გადადგომის შესახებ შეწყნარებულ იქნა.

25 ნოემბერი

პეტერბურგი. კანონთა დეპარტამენტის თავმჯდომარეს სენატორს ფრიშს და სახელმწიფო საბჭოს წევრს სენატორ ჩერევენსკის უბრძანათ იყონ შორეულ აღმოსავლეთის საგანგებო კომიტეტის წევრებად.

სოფია, „ბოლგარიის სატელეგრაფო სააგენტო“ დაწვრილებით ცნობებს იძლევა იმ ხოცვა-ჟლეტის შესახებ, რომელიც ბერძნების რაზმებმა ჩაიდინეს. ზელენიჩში ბოლოს დროს გაჩნდნენ ბერძნების რაზმები, რომელნიც შესდგებიან სხვა-და-სხვა ტომის დაქირავებულთაგან, უფრო ოსმალთაგან; ამათი ჩაცმა დახურვა და შენახვისთვის საჭირო ხარჯი გაგზავნეს ათინელმა კომიტეტმა, ბერძნების ეპისკოპოსმა და კონსულმა. რაზმის წევრი იღებს თვიურად 70 ფრანკს. ბერძნების რაზმები არ შეებმიან ბოლგარელ აჯანყებულებს—ისინი თავს ესხმიან მაკედონიის სოფლებსა და ქალაქებში უიარაღო წარჩინებულ ბოლგარებს, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ ბერძნების პატრიარხატს; ასეთი იყო თავდასხმა წარჩინებულ ბოლგარელზე ტრიფონ კობეზაზე ქორწილის დროს, რომელსაც დაესწრნენ ბოლგარების საუკეთესო ოჯახები და რამდენიმე ოსმალი. საღამოს 10 საათზე სახლში შემოვარდა ბერძნების რაზმი 70 კაცისაგან, დაკეტა კარები და შეუდგა ჟლეტას—ისროდნენ თოფებიდან და მოქმედებდნენ ხიშტებით. მოჰკლეს 13 სული, მათ შორის სასიძო, მისი მოხუცი მამა, 13 წლის ბავშვი, 10 წლის გოგო და მოხუცი მაჰმადიანი. სტუმრებ შორის არ ყოფილა არც ერთი აჯანყებული, რადგან იქ იყვნენ მაჰმადიანები და ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელნი. ამ ამბის შემდეგ ათამდე ბოროტ-მოქმედი წავიდა ბოლგარელ მღვდლის სახლში, რომ მოეკლათ იგი, მაგრამ სახლში ვერ ნახეს და ოჯახობა გაძარცვეს. ამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია; ეს შეამოწმეს ოსმალეთის მთავრობამ, რუსეთისა და ავსტრიის კონსულებმა მონასტირში და იტალიელმა კაპიტანმა დუგიმ. ოსმალეთის მთავრობამ დაამოწმა, რომ ერთი პირი ჰქონდათ ბერძნების რაზმსა და ნეველსკის, ზელენიჩიდან ორ კილომეტრზე მდებარე დაბის უფროსებს. ნეველსკის მცხოვრებლებმა გაიგონეს ასზე მეტი თოფი, მაგრამ მიუხედავად ამისა არც ქალაქისა და არც სამხედრო რაზმის (250 კაცი) უფროსი ადგილიდან არ დაძრულა და ზელენიჩში მოვიდნენ მხოლოდ მეორე დღეს, როცა ბოროტ-განმზრახველნი უკვე მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 23 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,95
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,4
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91½
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89⅛
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	426½
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	319½
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	269½
5% თბლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% თბლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი თბლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო საშაბათოობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერივანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერივან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   დია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიმიროვის ქ., № 131.
   დია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   დია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ხალხის ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის, რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტე[illegible]ოვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელ[illegible]მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ხე-ხილი

ვაშლი, მსხალი და სხვა საუკეთესო სამრეწველო ჯიშის ხეები. ლეღვი, ბროწეული და ფუნდუკი მსხვილ ნაყოფიანი იყიდება იაფად მებაღე პრილიპკოსთან მუშტაიდში. (3—388—2)

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კობახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოთ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ. მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოთ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (10—6.—1)

СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬК

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი ავლაფრ[illegible]ვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (წ.—176—88

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგიო-ლედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

№ 4711

ო-დე-ლი

(EAU DE LYS)

თეთრ გარდის, ფერ და ყვითელ ფერისა

ყველას მიერ ცნობილი, როგორც საუკეთესო საპირფარეშო საშუალება პირის დასაბანად, ახალგაზრდობის შესანარჩუნებლად, ჰორფლის მოსაშორებლად და სახის გასაწმენდად

მოთეთრო რძის

საპონი

Sauon au lait de lys

მეტად ნაზი

ვურჩევთ ყველას იხმარონ კანის გასათეთრებლად და გასანაზებლად

ერთად ერთი მექარხნე

ფერდ. მიულგენსი

კელნი რეინზე და რიგა.

მისის უდიდებულესობის კარის გაჭარი.

(6—მც.—2)

საუკეთესოდ მოწყობილი

ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა

წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.

ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა, ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაზნასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელეთ, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
ითვლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—[illegible]	—	[illegible]
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, [illegible]. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიკ სენკევიჩისა	—	60
დასტურ-ლამა	—	[illegible]
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხეთი რაფეისა, თარგ. სომხურიდან ბ. ეგანგულოვისა	1	—

№ 4711

ო-დე-კოლონი

№ 4711 ო-დე-კოლონს საუცხოო სუნელება აქვს და ძალიან კარგად მოქმედებს. ახლა ამ ო-დე-კოლონს ხმარობს მთელი განათლებული კაცობრიობა.

ფერდ. მიულჰენს

რეინის კელნი

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

(6—მც.—1)

ნავთის მწარმოებელ ამხანაგობის

„შ ხ ტ ა ს“

გამგეობა აუწყებს ბ-ნ პაის პატრონთ, რომ დანიშნა 7%-იანი შესატანი, ე. ი. 7 მანეთი თითო პაიზე 1-დან 7 დეკემბრამდე და 8-დან 17 დეკემბრამდე ჯარიმიანად; ამას შემდეგ პაი, რომლის შესატანიც გასტუმრებული არ იქნება, ამხანაგობის ხელშეკრულობის ძალით, გაუქმებლად იქნება ჩათვლილი.

შესატანი მიიღება ამხ.—ბის კანტორაში, ლერმონტოვისა და ველიამინოვის ქუჩების კუთხეში, ხანჯალამოვის სახლში. (შესავალი ლერმონტოვის ქუჩიდან), დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე.

ფულის შეტანის დროს პაის პატრონებმა უნდა წარადგინონ საპაიო კვიტანციები. (2—334—1)

ი ყ ი დ ე ბ ა

ხეხილის ხეები „შრომის“ სანერგიდან ლაგოდეხში

კ. აფრიკიანისა.

სანერგესთან მოწყობილია მეურნეობა დასამყნელ ნერგებისა. იყიდება მრავლად დასამყნელი ნერგები ვაშლისა, მსხლისა, კომშისა, ბალისა, ატმისა, ქლიავისა და სხვ. 18 ათასი 4 მანეთად. კატალოგები უფასოდ.

ადრესი: Лагодехи, К· Африкіану. (3—381—8)

ს ა ფ ა ბ რ ი კ ო ს ა წ ყ ო ბ ი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

ვ. ი. პალლიზენ

რეევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი, საკანცელარიო საგნები. ტელეფონი № 679. (0—188)

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნ ა კ ა დ უ ლ ი“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილებისათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; ხელის მომწერს შეუძლიან თვეში თითო მან. შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთა ჟურნალი—25 კ. მცირე ყრმათა—15 კაპ.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ“.

(0—3.25)

სტამბა „წიგნების გამომც. ქართვ. ამხ—ბა“.

Электроп. „Груз. Изд. Т—ва“.